მეორე წელიწადი | ფასი 7 კაპ. | კვირა, 29 მაისი 1916 წ. | № 119

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

[illegible] ფასი
[illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მილებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ. დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ქართული დრამატ. საზოგადოების
## გამგეობა
ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დრამ. საზოგ. საპატიო წევრის

თავ. ალექსანდრე ივანეს-ძე
## სუმბათაშვილის
პატივსაცემლად
ორშაბათს, 30 მაისს, დილით 12 ს. სახაზინო თეატრში
გაიმართება სამეჯლისო წარმოდგენა
ავტორის თანადასწრებით და მონაწილეობით

## ღალატი
ალექ. სუმბათაშვილის 5 მოქ. დრამა.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში დაკლებულ ფასებში
დაწვრილებით აფიშებში

საშა კუციას ასული და ნატალია ქაქუთიასი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 29 მაისს, ფოთის საკათედრო ტაძარში, გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი საყვარელი მეუღლის, განსვენებულ
ანდრია საბას ძე
## ქაქუთიას
სულის მოსახსენებლად. (2—9—2)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხაილოვის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობა)
კვირას, 29 მაისს, 1916 წ. რუსულათ წარმოდგენილი იქნება ოპერეტა
„კავკასიურ ცხოვრებიდან და დიდი კონცერტი
ბალში დაუკრავს დუდუკი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
1—131—1

## სახალხო სახლი
ოთხშაბათს, 1 ივნისს, 1916 წ.
ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ანრი ბერშტეინის სახელგანთქმული პიესა.
I.
## ურიის სისხლი
დრამა 3 მოქმ. თარ. შ. დადიანისა.
აგნესას როლს შეასრულებს ნ. დავითაშვილი
ტიბოს ბ-ნი ი. ზარდალიშვილი.
II.
## ვაი ყოზოს
ფარსი 1 მოქ.
მონაწილეობენ: ქ-ნი ნ. დავითაშვილი, ა. შოთაძე, ბ-ნი ი. ზარდალიშვილი, გედევანოვი, კორიშელი, გომელაური, მეტრეველი, ხონელი, მინდიაშვილი, მამფორია, ჩაგუნავა, თარალაშვილი და სხვა.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია.
რეჟისორი ვ. ხ. ალექსი-მესხიშვილი.
(2—130—1)

## ახალი კლუბი
ერთი კვირის პროგრამა 30 მაისიდან 5 ივნისამდე.
ორშაბათი—ოპერეტკა რუსულ ენაზე.
სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი ბ. ა. გესის ლოტბარობით, მონაწილეობას მიიღებს არტისტკა ლიდინა.
ოთხშაბათი—სინემატოგრაფი-კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა.
ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა. შემდეგ—სამხედრო ორკესტრი.
პარასკევი—სინემატოგრაფი-კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა.
შაბათი— კონცერტი, სიმფონიური ორკესტრისა მ. ა. ვოლფ-იზრაილის ლოტბარობით. მონაწილეობენ: სოლისტი-სკრიპაჩი ბელსკი—და ე. ნ. სტაროსტინისა (სოპრანო)
კვირა—1) ხერეოგრაფიული კონცერტი კალერი-ელსკა და 1) ორი მინიატიური.
დასაწყისი: კონცერტებისა სალ. 9 საათზე. სინემატოგრაფისა—და სპექტაკლებისა $8^1/_2$ საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. ორშაბათს, შაბათს და კვირას შესასვლელი ფასი: მამაკაცისა 1 მ.—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. გასართობებზე დასწრება უფასოა. (1—110—1)

## სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა
კვირას, 29 მაისს დღის 1 საათზე
დიდებული მგოსნის აკაკი წერეთლის ხსოვნის პატივსაცემლად
გაიმართება
## სამაისო დილა
4-ს განყოფილებად: პირველი
პატარა კახი მე-5 მოქმედ. აკაკი წერეთლისა
კახი—ტასო აბაშიძე, ტურფა—ნ. დავითაშვილი, გელა—ი. ივანიძე, მეფე—პ. კორიშელი.
მეორე **ცოცხალი სურათი**
დასდგამს კ. ანდრონიკაშვილი. აკაკის გარშემო შემოკრებილი ქულაჯებში გამოწყობილი თბილისის ვაჟთა მომღერალ-მგალობელთა გუნდი, იოსებ გოძიაშვილის მიერ დაარსებული, ილია გოძიაშვილის ლოტბარობით უგალობებს დიდებულ მგოსანს: „კურთხეულ იყოს შენი სახელი“.
მესამე **საკონცერტო განყოფილება**
იმავე გუნდის მონაწილეობით.
მეოთხე
## მეჯლისი
„ფანდური“—სათამაშო შესრულებული იქნება დაფით, დაირით და ნაღარით, ტრიო „ტურფავ მოდი“, ცანგალა“ და სხვა. გუნდში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ ბორჯომის ვაჟთა გუნდის ლოტბარი შაქრო ტალიკაძე, იოსებ რუისპირელი და ვანო ალთუნაშვილი. დაწვრილებით იხილეთ აფიშებში. ადგილების ფასი სამხედრო გადასახადიანათ 20 კ-ნ 1 მანეთამდე დასაწყ. დღის 1 საათზე. ბილეთები იყიდება ყოველდღე კასაში.
(3—204—3) გამგე ბეგლარ ახოსპირელი.

კბილის ექიმმა
## მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
## ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

დ. ზესტაფონში
ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## სტუდენტები
ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისაათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—9)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექ[illegible] თბ. [illegible] [illegible] შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
## მ. ი. ვარჩაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—203—2)

## თბილისი, 29 მაისი.

**კლასი თუ ეროვნება?**

ორ ახირებულ, ერთი მეორის საწინააღმდეგო ბრალდებას აყენებენ ჩვენ წინააღმდეგ. ერთი მხრით გვაყვედრიან რომ ვიწრო ბურჟუაზიულ ნიადაგზე ვდგევართ; მეორე მხრით თავად-აზნაურული ინტერესების მფარველობას გვწამებენ. ერთი მხრით გვისაყვედურებენ რომ ჩვენ გვსურს მთელი ქართველი ერის გაერთიანება ბურჟუაზიული ლოზუნგების გარშემო და ხალხის ფართო წრეებში ვაჭრული ფსიხოლოგიის განმტკიცება. მეორე მხრით ფეოდალურ იდეოლოგიის ნიშნებს ჰხედავენ ჩვენს აზროვნებაში. ამგვარივე ბრალდებანი აშკარად გამოითქვა ზოგიერთ ქართულ გაზეთში და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამ თავითვე პასუხის გაცემაა საჭირო.

უეჭველია რომ ერთი და იგივე პოლიტიკური ორგანო არ შეიძლება idგეს ვიწრო ბურჟუაზიულ და ვიწრო თავადაზნაურულ ნიადაგზე. თავად-აზნაურობა წოდებრიობაა, ბურჟუაზია კლასი. პირველს განსაზღვრული უფლებრივი უპირატესობები აქვს, მეორეს განსაზღვრული ქონებრივი ძალა. პირველი წარმოადგენს სისხლის არისტოკრატიას, მეორე წარმოადგენს კაპიტალის ხელმწიფებას. ამ ორ საზოგადოებრივ ჯგუფს შორის დიდი განსხვავება და წინააღმდეგობაა და მათი ინტერესებისა თუ იდეოლოგიის გაერთიანება ჩვენ უქმ ოცნებად მიგვაჩნია.

საზოგადოდ ჩვენი შეხედულება ის არის, რომ ვინც გადაჭრით ერთი რომელიმე სოციალური კლასის ან წოდების ნიადაგზე სდგება, ის აუცილებელ ოპოზიციაში ჩაუდგება რომელიმე მეორე კლასს ან წოდებას. ვინც მხოლოდ პროლეტარიატის მესვეურობას იკისრებს, ის უსათუოდ ბურჟუაზიის მტერი გახდება, ვინც მხოლოდ მსხვილ მემამულეებს გამოექომაგება, ის გლეხობის ინტერესებს გასწირავს. კლასობრივ ფსიხოლოგიას განკერძოებისა და გათიშვისაკენ მივყევართ.

ჩვენი გაზეთი ეროვნული დემოკრატიის ბაირაღით გამოდის. ის ამტკიცებს რომ განკერძოებული და შეურიგებელი კლასობრივი ინტერესების ზევით არსებობენ საერთო ეროვნული ინტერესები, რომელნიც ერთნაირად ძვირფასნი უნდა იყვნენ ყოველი შეგნებული ქართველისათვის. დედა ენა, სამშობლო ტერიტორია, ისტორიული წარსული, ზნეჩვეულებები, სულიერი კულტურა ისეთ დიად ღირებულებებს წარმოადგენენ რომ მათ დასაცავად მთელი ქართველობა უნდა გაერთიანდეს წოდებრივი უფლებებისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. ეს შეხედულება საკამათოდ იყო გამხდარი ამ ხუთიოდე წლის წინათ, მაგრამ დღეს საბედნიეროდ საეჭვოდ არავის მიაჩნია.

სამაგიეროდ ჩვენდა სავალალოდ ჯერ კიდევ ვერ შევთანხმებულვართ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესის დადასტურებაში. ეს არის მრეწველობისა და ალებმიცემობის საკითხი. ჩვენ არსებობის პირველ დღიდანვე გადაჭრით იმ აზრს ვიცავთ რომ ეროვნული კულტურის ასაღორძინებლად საწარმოვო ძალთა გაშლა და ამოძრავებაა საჭირო. კაპიტალიზმის განუვითარებლობა დიდ უბედურებად მიგვაჩნია ჩვენი სამშობლოსთვის და დიდის სიხარულით ვეგებებით ახლად ფეხ ადგმულ ქართველ ბურჟუაზიის საქმიანობას. რასაკვირველია სრულიად უსამართლოა ის ბრალდება, თითქო ჩვენ გვსურდეს ყოველ ქართველს, მუშა იქნება ის, გლეხი, მემამულე თუ ინტელიგენტი კაპიტალისტის სულიერი თვისებები დავამყნათ. მთელი კულტუროსანი ერი ერთი საზოგადოებრივი კლასის წიაღში არ გაითქვიფება. ეს შესაძლებელიც რომ იყოს სასურველი არ არის, მიტომ რომ წინსვლა მრავალ ფერადობასა და სხვა და სხვაობაში იხატება და არა ერთ ფეროვანებასა და შაბლონში. ჩვენ მხოლოდ გვწადიან რომ ქართველ ხალხში მომჭირნეობისა და ეკონომიური შემოქმედების ხალისი გავაძლიეროთ.

ჩვენი უკან ჩამორჩენა სხვათა შორის იმაში სჩანს რომ აქამდის არა გვყავს მძლავრი ეროვნული ბურჟუაზია. ეროვნული დოვლათის უდიდესი ნაწილი უცხო კაპიტალის ხელში გადადის ზედმეტ ღირებულების სახით, ჩვენ ხალხს კი ხშირად არაფერი რჩება შეკვეცილი ყოველდღიური სარჩოს გარდა. ასეთი მდგომარეობა დიდს სულიერ კულტურას, არამედ ჩვენი ხალხის ფიზიკურ არსებობასაც.

რასაკვირველია პოლიტიკურ გაზეთს არ ძალუძს პირდაპირ ჩარევა ეკონომიურ საქმიანობაში. მას არ შეუძლია არც მაღაროების გათხრა, არც ქარხნების ამუშავება. მაგრამ სამაგიეროდ პოლიტიკურ გაზეთს შეუძლია ფსიხოლოგიური პირობები მოუმზადოს ახალ ეკონომიურ წესწყობილებას და ამით მისი მსვლელობა დააჩქაროს. ჩვენც ასე გვესმის ჩვენი პირდაპირი მოვალეობა. ჩვენ მოუწოდებთ ახალს იდეებს, რომელთაც ახალი საგნები და ადამიანები გაამდიდრებენ არა მარტო ამა თუ იმ საზოგადოებრივ კლასს, არამედ მთელს ეროვნებას. მიტომ რომ დღეს დღეობით ქართველი ბურჟუაზიის ინტერესები სავსებით ეთანხმებიან დიდ ეროვნულ ინტერესებს.

## სომხების ყრილობაზე

(შთაბეჭდილებანი, საკუთ. კორესპ.)

ოთხი დღე სომხებში გავატარე.

მთელი ოთხი დღე მათი ინტერესებით ვიყავ გართული და გულდასმით ვუსმენდი მათ ორატორებს.

როგორც ყველა არა სომეხს, მე, რასაკვირველია უფრო პოლიტიკური საკითხები მაინტერესებდა ვიდრე გადმოხვეწილთა საქმის მოწესრიგება და მათი შინაური საქმეები.

ამ მხრივ ფრიად უკმაყოფილო დავრჩი.

კრების შეზღუდულმა პროგრამამ შეუძლებელი გაჰხადა იმ საგანზე მსჯელობა, რაც უმთავრესათ კრების ყოფილ მონაწილეს აინტერესებდა. მიუხედავათ ამისა მაინც სჩანდა თითქმის, ერთსულოვანი მისწრაფება: თავისუფალი სომხეთი უნდა აღსდგეს და ეს არის დღეს საოცნებო ყოველ სომეხისთვის. ვისმენდი მათ სიტყვებს და გაოცებას ვეძლეოდი; ან-კი ვის არ გააკვირვებს ის ერთსულოვანი თავდადება თავის ერისადმი, რომელიც ყოველი სომეხის სიტყვაში და მოქმედებაში ისახებოდა.

ვისმენდი და შურიც მეპარებოდა: რატომ ვერ ვისწავლეთ ჩვენი მეზობლებიდან ასეთი შეთანხმება მოწინააღმდეგეთა მიმართ?

ხშირად ვერ გაარჩევთ სოციალისტს უკიდურეს ნაციონალისტისაგან. სხვა და სხვა ნაირის განმარტებით ყველანი ყოველთვის ერთის მიზნისაკენ მიილტვიან:

ყოველივე სომხის ერისაგან ყოველივე სომხის ერს!

***

განსაკუთრებით საგულისხმო იყო პირველი სხდომა. ყველა ორატორის სიტყვაში ერთი უმთავრესი ხაზი იყო გასმული: სომხის ერისთანა ერთგული რუსეთში არავინ არ არის. არც ერთ ერს არ გაუწირავს სომხებისთანა მსხვერპლი და მასავით თავგამოდებით არ დაუცვიათ დიდი რუსეთის ინტერესები. მე ერთ წუთსაც არ ვეჭვობ სომხების ერთგულებას მაგრამ ეს გადაჭარბებული ლოიალობის მტკიცება ძალაუნებურად აფიქრებს კაცს. რათ უნდა წამ და უწუმ მტკიცება იმას, რასაც საქმენი თვისნი უფრო მჭერმეტყველად სახავენ. წამებული სომხების სისხლი განა უკეთესად არ დაიცავს სომხების ლოიალობას, ვიდრე ჩალხუშიან-მამიკონიანის ყოველი ხუთი სიტყვის შემდეგ ერთ და იგივეს გამეორება:

— სომხის ერის ზრახვანი რუსეთს არ სცილდებიან.

ასე იყო ოთხივე დღეს. და ამ ოთხი დღის ვარაუდში მხოლოდ ერთ დას[illegible], რომ რუსეთი თავის ერთგულებაში დაარწმუნონ. ვისთვინ ან რისთვის?

***

კარგად ლაპარაკობდა გ. ქ. ჩალხუშიანი. ეს ის ჩალხუშიანია, რომელიც მუდამ სამართალის ძებნაშია დედამიწაზე და ჯერ ვერ უპოვია.

როდესაც იგი „არათარუთიუნს“ (სამართალს) იტყვის თვალში სწორედ არას დროს არ შემოგხედავთ:

ან მიწაზედ იცქირება, ან თვალუწვდენელ ცას მიაპყრობს მაძიებელ თვალებს და იქ ეძებს დაკარგულ სამართალს.

და ალბად მიტომ ვერ ეღირსა სამართალს „ძვირფას მასწავლებლისგან“ მ. მ. კოვალევსკისაგან. თვალში რომ სწორედ შეხედა ან ჩვენთვის, ან განსვენებულისათვის, ვფიქრობ რომ იპოვიდა.

კრებაზედ კი კარგად ლაპარაკობდა. ვინ იცის „სად არ იყო, ვინ არ ნახა“ და ისეთი ფერადები შეკრიბა, რომ შადრევნათ ქცეულმა სიტყვამ ყველანი მოგვაჯადოვა. თვალცრემლიანი ვიწოდი მასთან; ცრემლიან თვალის წინ მედგა ის სომეხი, რომელსაც ფირუზის კოშკის მაგიერ სახლის ყორესთან აქვს ლოგინი გამზადებული.

მჯერა და ვერავინ ვერ დამარწმუნებს წინააღმდეგში, რომ ჩალხუშიანს რომ შეეძლოს სათითაოდ აუშენებდა თითო გამოქცეულს თუ სასახლეს არა, კოპწია სახლს მაინც. და იპოვნიდა სომეხი „ართარუთიუნს“ ამ ქვეყნად, და ეღირსებოდა ჩალხუშიანს თვალის გასწორება სამართლის მპოვნელთან.

ვისმენდი მის განცხადებას თათრების მიერ წართმეულ მიწების შესახებ; ვისმენდი როგორ მოგვითხრობდა იგი ფაშების მიერ გადმოხვეწილთა მამულების დასაკუთრების ისტორიას; მესმოდა როგორი ცეცხლით ამტკიცებდა იგი ასეთი საქციელის უსამართლობას და უკან დაბრუნებას მოითხოვდა. და მაგონდებოდა თბილისის აწიოკება შახ-აბაზის დროს; მაგონდებოდა სომხების მიერ დასაკუთრება ამ დროს ქართველთა მამულების, რომლებიც დღემდისაც მათ შერჩათ.

ჩემს წინ სდგებოდა არშაკუნის სასახლის წარსული. და გულში ვფიქრობდი: „ართარუთიუნ“, ბ-ნო ჩალხუშიან? „ართარუთიუნ“?

* *

კრებაზედ ძველი ნაცნობი სომეხი შემხვდა, ნაფიცი ვექილი და სომხების დიდი მოღვაწე ერევან-ყარსის მხარეში გ. ს. ძამოევი. განსაკუთრებით მესიამოვნა მისი შეხვედრა, რადგან ვიცნობდი როგორც ფანატიკოს და ობიექტივ პირს. ჩვეულებრივი მუსაიფის შემდეგ, რასაკვირველია, საჭირბოროტო საკითხზე გადავედით—ქართველ-სომეხთა საკითხზე. არც ძველად მოვრიდებივართ ერთმანეთს ცხარე კამათში და არც ეხლა მოვერიდე პირდაპირის კითხვით.

— როგორ მოგწონთ სომხების დღევანდელი პოზიცია საქართველოში?

— ვის ეძახით სომხებს? თუ თბილისის ჯგუფს ისინი სომხების წარმომადგენლები არ არიან და სოლოლაკელთა ინტერესების დაცვა კიდევ არ ნიშნავს სომხების წარმომადგენლობას.

ვაკვირდებოდი ჩემი ნაცნობის სიტყვებს და მაგონდებოდა ისიც, თუ როგორ მსჯელობენ დღესაც სომხების მემარცხენე ორგანოები.

— მერწმუნეთ, რომ საქართველოს გარედ მცხოვრები სომხები ეგრე არა ფიქრობენ.

მარწმუნებდა ჩემი ნაცნობი. დიდი ხანი არ არის რაც ყარსში სომხების ორგანიზაციების კრება მოხდა და საერთო დადგენილება გამოვიტანეთ: ყოველივე ღონის ძიება მივიღოთ, რომ ქართველებთან კონფლიკტი მოვარიგოთ, რადგან სადაო არაფერი გვაქვს.

— ჩემი უდიდესი სურვილია ქართველებთან ძმური კავშირი.

არ შემიძლია არ დაუჯერო მის სიტყვებს.

მჯერა ნამდვილი ინტელიგენტის მისწრაფებანი, მაგრამ ასეთ ძამოევებს მხოლოდ თითებზედ თუ ჩამოსთვლით!

ყოველ შემთხვევაში, ასეთები საზოგადო ასპარეზზედ მაინც არსად სჩანან.

* *

დამაფიქრა მისმა სიტყვებმა: „საქართველოს გარედ სხვანაირათ ფიქრობენ".

მე არ ვიცი „იქ როგორ ფიქრობენ", მაგრამ საქციელით რომ ერთმანეთს არ გავან ეს კრებაზედაც შევნიშნე, ჩალხუშიანი და მის დაგვარნი რომ სიტყვების შადრევანს, გადმოხეთქავდენ საზღვარ გარეთულნი დინჯათ, [illegible] ოდნით, მხოლოდ საკი- „კავკასიელმა" სომხებ[illegible]ბოდნენ. სული გაზეთის რედაქცია არ დასტოვეს რომ პირდაპირი იერიში არ მიეტანათ და მიაღწიეს იმ მიზანს, რომ გაზეთები ყირამალა გადადიოდნენ და მორიგ საკითხათ სომხების კრება გადააქციეს მაშინ, როდესაც ფართო საზოგადოებაში სრულებით პოპულიარი არ იყო.

ლ. ჯაფარიძე.

# სამხედრო ბეგრის საკითხი ფინლანდიაში

(საკუთარ კორესპონ.)

ფინების შესახებ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ძალიან ცოტა იწერება, თუმცა იგი მრავალის მხრივ არის საყურადღებო, განსაკუთრებით ჩვენთვის როგორც პატარა ერისთვის, რომელსაც ფინეთთან ერთად საერთო უმაღლესი მფლობელი ჰყავს. ასეთ გარეგნულ მსგავსების მიუხედავად—ფინეთი არსებითად განსხვავდება საქართველოსაგან, თავის ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებით. ეს ერი დიდი გამოცდილების პატრონია პოლიტიკურ ბრძოლაში. მას დიდი მეცადინეობა, უნარი, ცოდნა და გამოცდილება დასჭირდა საკუთარ ეროვნულ ცხოვრების დასაცველად, იმ დამოუკიდებელ ფორმაში, რომელიც დღევანდლამდე შეინარჩუნა.

მას აქვს საკუთარი ხალხოსნური (დემოკრატიული) **კონსტიტუცია**, **სეიმი (პარლამენტი)**, **სენატი**, საკუთარი ზარაფხანა, საბაჟო, ფოსტა, ტელეგრაფი, რკინის გზები და სხვა მრავალნი სიკეთენი, რომელნიც ჩვენისთანა ერისთვის მხოლოდ საოცნებო საგნებია!

ფინლანდიის ასეთი ბედნიერება შემთხვევით არ ჰრგებია. მას ამისთვის დიდი გამჭრიახობა და ეროვნული თვით-დაცვის უნარი გამოუჩენია, რასაც ნათელ ჰყოფს მისი უკანასკნელი დროის 107 წლის ისტორია. ამ ისტორიის ზერელე გაცნობაც კი, ყოველ შემთხვევაში, სასარგებლო იქნებოდა ქართველთათვის, მაგრამ ამ წერილის დანიშნულება ეს არ არის. ამ წერილით მსურს მკითხველთ გავაცნო ის საკითხი, რომელიც **სრულიად რუსეთის ეროვნულ კავშირს** განუხილავს ამა წლის 27 აპრილს და გამოუქვეყნებია 16 მაისს, სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს.

როგორც მკითხველსაც ეცოდინება გაზეთებიდან, ამ გადაწყვეტილებით ჭეშმარიტ-რუსთა კავშირი ემუდარება მთავრობას ფინლანდიელი მცხოვრებნიც გაიყვანე ჯარში, ომში მონაწილეობის მისაღებად.

მართალაც, თითქოს გასაკვირველია, რომ ამ საშინელ და უმაგალითო სისხლის ღვრის დროს მონაწილეობას არ იღებს ფინლანდია. მაგრამ ამის თავისი გასამართლებელი მიზეზი აქვს. სამხედრო ბეგრის მოხდას ფინლანდიაში თავისი მრავალტანჯული ისტორია აქვს და დაკავშირებულია იმ სადაო საკითხებთან, რომელთა გამო აგერ 15 წელიწადია გამწვავებული და გართულებული ურთიერთობაა შექმნილი რუსეთსა და ფინლანდიის შორის. ამ რთულ საკითხის გასაცნობად, ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

II

როგორც ვიცით, რუსეთ (შვეციის) სვერიგეთის ომს მოჰყვა ფინლანდიის შეერთება რუსეთთან, რომელიც გადასწყდა ფრიდრიხსჰამის საერთაშორისო ხელშეკრულებით, 5/17 ენკენისთვეს, 1809 წელს. მართალია ფრიდრიხსჰამის ტრაქტატის მე-IV მუხლის ძალით ფინლანდია რუსეთის იმპერატორის უზენაესს მფარველობაში გადავიდა, მაგრამ რუსეთი—ფინლანდიის უფლებრივი ურთიერთობა ადრევე იყო გამორკვეული,

ფინლანდიის ჩრდილოეთი ნაწილი ჯერ გაწმენდილი არ იყო შვეციის ჯარებისაგან, რომ იმპერატორმა ალექსანდრე I, 20 იანვარს, 1809 წელს მოუწოდა ფინლანდიის ყველა წოდებათა წარმომადგენელთ ქალაქ ბორგოში სეიმზე, იმ პირობათა და უპირატესობათა შესამუშავებლად, რომელთა მინიჭებასაც ჰპირდებოდა. ბორგოს პირველ სეიმზე შეიკრიბნენ 4 წოდების წარმომადგენელნი, იმავე წლის 15 და 16 მარტს იმპერატორ ალექსანდრეს თავმჯდომარეობით გაიხსნა საზეიმო კრება. სეიმის სხდომები გაგრძელდა 6 მკათათვემდე, როდესაც კრების დასახურად მობრძანდა იმპერატორი ალექსანდრე და, გაეცნო რა სეიმის დადგენილებებს, მოიწონა და შემდეგ მანიფესტებით განამტკიცა იგი. ბორგოს სეიმმა ჩაუყარა საძირკველი თავისუფლების იმ წმინდა ტაძარს, რომელზედაც ფინლანდიის ერი ემყარება დღევანდლამდე და ჰქმნის ერის დიდებულ მომავალს. ამ დღიდან ფინლანდიელთ გზა გაიკაფეს დიდის მომავლის შესაქმნელად!

ბორგოს სეიმის დადგენილების მიხედვით იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მიანიჭა თავისუფლება შინაურ მმართველობაში, საკუთარის კონსტიტუციით, სეიმით, სენატით და **სახალხო მილიციით**.

უფლებრივი ურთიერთობა რუსეთსა და ფინლანდიის შორის, როგორიც ზემოთაც მოგახსენეთ, ფრიდრიხსჰამის საშვიდობო კრებამდე იყო გამორკვეული, რომელზედაც მხოლოდ აღიარებულ იქმნა ფინლიანდიის ჩამოშორება შვეციიდან და რუსეთის იმპერიასთან შეერთება.

(დასასრული იქნება)

დ. ჩიქოვანი.

ჰელსინგფორსი
18/3 მაისი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

პოლკოვნიკი მორატი, გერმანელთა ცნობილი სამხედრო მიმომხილველი, კვლავ ხმას იმაღლებს თვისი განსაცვიფრებელი სიდინჯით, აუღელვებელი კილოთი, მტრის ძალის და ღირსების პატივისმცემელი. იგი აღტაცებით იხსენიებს ფრანგთა სიმამაცეს ვერდენის დაცვაში. „რამდენადაც მტკიცე და გარდაუვალ ზურჯებთან გვაქვს საქმე ფრანგთა ღირსეულ მამულიშვილებთან, იმდენად მაღლა იწევს თვით სახელი გერმანელთა მხედრობისაო". იგი არა ნაკლებ განცვიფრებაში მოდის თვით გერმანელთა აშფოთებული და მეტოდიური წინსვლით და წესიერი იერიშებით. „ამის შემწეობითაო, ამბობს იგივე მორატი, ჩვენ შევძელით მათი რეზერვების მოწურვა, ცოცხალი ძალის განადგურება"... მორატის ამ სიტყვებს ადასტურებს რუსეთის სამხედრო მიმომხილველი ერთის მხრით შუმსკი და მეორეთი დიმიტრიევი. განსაკუთრებით სიმაგრე ვოს წამოქცევის შემდეგ თითქმის მართლდება შუმსკის აზრი, რომ ვერდენის ციხის აღება მოახლოვებულია. რა იქნება დენის აღება არა თუ ადგილობრივ უპირატესობას ანიჭებს გერმანელთ, არამედ შესაძლებელია ამით გადასწყდეს თვით ომის საკითხიო. დიმიტრიევი უფრო შორს მიდის. მისი აზრით თვით საზღვაო დიდი ბრძოლაც დაკავშირებული იყო ვერდენის ოპერაციის ხელის შესაწყობად. ეხლა უფრო ვიდრე კვლავ როდისმე აშკარა გახდა, რომ გერმანელთ ამონიშნული აქვთ არა აღმოსავლეთის ასპარეზი, არამედ დასავლეთი და ახლო მომავალში ვნახავთ უმაგალითო ომებს, რომლებთანაც შედარებით ყველა ბრძოლანი რაც დღემდე გარდახდილ იქმნა, მხოლოდ აჩრდილად მოგვეჩვენებაო. თითქოს ამ აზრის გასამართლებლად მართლაც გერმანელები მაქსიმუმ ძალღონეს იჩენენ დასავლეთ ფრონტზე. მათი შეტევის ქარიშხალს მოაქვს ახალი წარმატება. აღმოსავლეთ ნაპირებზე, ტიომონის ფერმის დასავლეთით და აღმოსავლეთით ორ კილომეტრის გასწვრივ მათ ხელთ იგდეს ფრანგთა თხრილები, თუმცა შემდეგში შეჩერებულ იქმნენ ფრანგთა მამაც არტილერიის ცეცხლისაგან. ამავე დროს მათ იერიშები მიაქვთ მარცხენა ნაპირზეც, სახელდობრ „304" მაღლობზე.

სამაგიეროდ რუსები ისევ ავითარებენ წინსვლას. გენერალ ბრუსილოვის არმიის მოქმედება საკმაოდ გამოირკვა. მთავარმა შტაბმა უკვე დაასახელა ადგილები, სადაც გარდამხდარა უდიდესი ბრძოლა: ეს გახლავთ ხაზი პრიპეტიდან მოყოლებული რუმინეთის საზღვრამდე. თუმც დიდი მსხვერპლით, მაგრამ მაინც ბეჯითი დაჟინებით რუსებმა მოახერხეს ავსტრიელთა ფრონ[illegible] წამოყვანილია 1,143 აფიცერი და 64,714 ჯარისკაცი. მდინარე სტრიპი უკვე გადალახულია რუსთა მხედრობის მიერ. მათ ზლოტი პოტოკს მიაღწიეს. 26 მაისს, როგორც სჩანს, ავსტრიელთ ნაშველი ჯარები მოსულიათ გერმანელები, რომელთაც რაოდენადმე მოუხერხებიათ რუსთა შეჩერება. მათი მძვინვარე არტილერიის ცეცხლი მოსდებია სმორგონის ჩრდილოეთ მხარეს, კრევოს ჩრდილო-აღმოსავლეთით და მთელს ჩრდილოეთზე გაუშლიათ. ამას მოჰყოლია იერიშები, მაგრამ რუსებს ხელი შეუშლიათ. ამ უკანასკნელ ბრძოლაში რუსებს დაეჭრათ გენერალი მიკულინი...

საგრძნობლად შეიცვალა თვით სახელმწიფოთა პოლიტიკური კურსიც. ყველაზე მეტად საყურადღებოა საბერძნეთის პოლიტიკა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან საბოლოოდ აიხადა ნიღაბი. რომ საბერძნეთი მეფე კონსტანტინეს მეთაურობით გერმანელთა ანკესზე წამოეგო, ამაში ეჭვი აღარავის შეაქვს. ამიტომაც არის რომ ოთხთა კავშირი ეხლა რადიკალ ზომებს იღებს და უცერემონიოდ თითქმის უბრძანებს კიდეც ჩამოიშორონ ბულგარები და საბერძნეთის ტერიტორია განწმენდილ იქმნეს გერმანელთა ელემენტებიდან. ინგლისელებმა შეჰზღუდეს ბერძენთა ნავთსადგურების უფლებანი. რუსული პრესა მოითხოვს დიპლომატიურ მოლაპარაკების ნაცვლად პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ. საბერძნეთს ზღვით ბლოკადა შემოარტყეს, თორემ შემდეგ ისევე დაგვიანებული იქმნება, როგორც დავგვიანდით ბულგარეთის დარიგებაშიო.

ასეა თუ ისე, უკანასკნელ ბრძოლამ და საშინელმა ძალის გამოჩენამ ბევრს შეაცვლევინა აზრი და პოლიტიკური აქციები ნეიტრალ სახელმწიფოთა ბირჟაზე ისევ გერმანელთა სასარგებლოდ მაღლა-მაღლა იწევს. ერთად ერთი იმედი ისაა, რუსეთმა ინიციატივა ხელიდან არ გაუშვას, შესაძლებელია დღევანდელი გრანდიოზული დემონსტრაცია ნამდვილ შეტევად აქციოს და მით გაჰყოს გერმანელთა და ავსტრიელთა ყურადღება, რომელნიც, მიუხედავად ასეთის მარცხისა, დაწყებულ ოპერაციებზე ხელს არ იღებენ და ერთი თუ დასავლეთს ემუქრება ჯავშნიანი მუშტით ინგლისელთა და ფრანგთა ჯარების დასაკაკავად, მეორე იტალელთ ლომბარდიისკენ ერეკება...

X.

# ომის დღეებში

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 27 მაისი. **ოფიციალი.**

**დასავლეთი ასპარეზი.** ვოლინთან და გალიციაში ბრძოლა გრძელდება. გერმანელები ცდილობენ ბრძოლის ხაზის გარღვევა შეაჩერონ. გერმანელებმა პოლესის მიდამოებიდან ჯარი მიიშველიეს. მიუხედავად გერმანელთა [illegible] დან რუმინეთის საზღვრებამდე წინსვლას განვაგრძობთ. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტერზე რამდენჯერმე იერიში მიიტანა. სხვათა შორის აღსანიშნავია ყაზახთა შეტევა სუსკთან, ლუცქის სამხრეთით. აქ ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 8 ყუთი ტყვია და 209 ყუთი ყუმბარებით სავსე, ორი ათ სანტ. ზარბაზანი, 4 აფიცერი, 160 ჯარისკაცი [illegible] ტინოსთან, იქვაზე [illegible] ერთი ათ სანტ. ზარბაზანი და 35 ყუთი სასროლი მასალა. ერთ ადგილას ხელთ ვიგდეთ 30 შუშა სულის შემხუთველი გაზით. ახალ გაზრდა ჯარის კაცები ძველებთან ერთად გმირულად იბრძვიან. მდ. სტირზე ამათ შემუსრეს მტერი, ფეხდა ფეხ სდიეს და დ. როჟაშჩეში შეიჭრნენ, საიდანაც 2500 გერმანელი და ავსტრიელი ტყვე წამოიყვანეს და ხელთ დოვლათიც იგდეს.

მდ. სტრიპა ჩვენმა ჯარმა გასცურა და მდ. ზლოტი-პოტოკს მიუახლოვდა. ამ ადგილას მძიმედ დაიჭრა გენ. მიკულინი. ტყვეთა რიცხვს კიდევ მიემატა 185 აფიცერი და 13.714 ჯარის კაცი. ჯერ სულ 64.714 ჯარისკაცი და 1.143 აფიცერია წამოყვანილი.

26 მაისს მტერმა სასტიკად დაუშინა ზარბაზნები კრევოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით (სმორგონის სამხრეთით) მალე სროლა ჩრდილოეთითაც გაძლიერდა. ამ ადგილებში მტერმა შემოუტია, მაგრამ მოვიგერიეთ. მოლოდეჩნოს მიდამოებში მტრის მფრინავმა 4 ყუმბარა ჩამოჰყარა. 5 გერმანელმა მფრინავმა ლოგიშინში, პინსკის ჩრდილოეთით, 50 ყუმბარა ჩამოაგდო. ერთი მათგანი მტრის ბანაკში დაეცა.

**კავკასიის ასპარეზი.** ტრაპიზონის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა ოსმალები სოფ. ფორტოკოპის სამხრეთით, მონასტირიდან განდევნა. გიუმიშხანის მიმართულებით ჩვენი ჯარი მტრის ადგილებში შეიჭრა. ხელთ იგდო ტყვეები, ყუმბარის მტყორცნელი, იარაღი, საომარი მასალა. მტრის კონტრიერიში მოვიგერიეთ.

**პარიჟი,** 26 მაისი საღამოს ოფიციალი ცნობა. მაასის მარჯვენა ნაპირზე „304" სიმაღლისა და შატანკურის მიდამოებში ზარბაზნებით ბრძოლა გაცხოველდა. მდინარის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის აღმოსავლეთით და დასავლეთით მოპირდაპირემ მედგარი იერიშები მოიტანა, თუმცა უშედეგოთ. პონტამუსონის დასავლეთით, არტილერია ცხარედ მოქმედობდა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში, ზარბაზნებით ბრძოლა დრო-გამოშვებითაა.

**ჰავრი,** 26 მაისი. ბელგეთის ცნობა. ასპარეზის სხვა და სხვა ადგილებში საარტილერიო ბრძოლამ უკიდურესობამდე მიაღწია.

**რომი,** 26 მაისი. იტალიის ცნობა. ზემო ვალტელინში ჩვენმა ალპიელმა მსროლელებმა ორტლერისკენ ადგილები ხელთ ჩაიგდეს. დაიპყრეს კეპოზეის უღელტეხილი (3199 მეტ.), ვი-[illegible] (3042 მეტ.) ორტლერი (3359) და მოხჩიოხი (3530 მეტ.) კიეზოს ღელეში, მოპირდაპირეთა რაზმებმა იერიში მოიტანეს სკორდას საყარაულოზე, მაგრამ უკუ ვაქციეთ. ადიჯეს ღელეში მცირე საარტილერიო ბრძოლაა. რიოკომერასის სამხრეთით, პასუბიოში, მტერი მედგრად ესროდა ჩვენს სიმაგრეებს. ჩვენმა არტილერიამ მსწრაფლ გაჰფანტა მოპირდაპირე.

# ომის იდეოლოგია

ორი წლის წინათ მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანიაში გამოვიდა ერთი მეტისმეტად საყურადღებო წიგნი შემდეგი სათაურით: „ჩვენი მომავალი, —მოწოდება გერმანელი ხალხისადმი". ამ წიგნის ავტორია ფრიდრიხ ფონ ბერნჰარდი, იმპერიალისტი, პანგერმანისტი და კავალერიის გენერალი.

ბერნჰარდი არ არის არც დიდი მოაზროვნე, არც დიდი სტილისტი. მთელი მისი გონებრივი ავლადიდება ცნობილი ისტორიკოსი ტრეიჩვეს ნაწერებზეა დაყრდნობილი, მის სტილს კი ალაგ-ალაგ აშკარად ეტყობა ბრიგადის რელაციების გავლენა. მაგრამ როგორც სჩანს ეს სალდათი უშიშარი და გულწრფელი ადამიანია: მის წიგნში არ სჩანს არც ორჭოფობა, არც ორაზროვნება, ის გულახდილად ამბობს იმას რასაც ფიქრობს. ასეთი ინტელექტური უშიშრობა ისეთივე ძვირფასი ღირსებაა, როგორც ფიზიკური სიმამაცე. მით უმეტეს, რომ პირველი დღეს უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე უკანასკნელი.

ერთი ჯურის ჟურნალ-გაზეთები იმ აზრს ავრცელებენ, რომ გერმანია ომის დაწყებამდე ისე მოქმედობდა, როგორც ქურდი ბნელს ღამეში. არავინ არ ელოდა, რომ ეს ავაზაკი თავის მეზობელს ზურგში დანას ჩასცემდა ვერაგულად. ომის მზადება ჩუმად ხდებოდა სადღაც ჯურღმულებში. ცის ტატნობზე კი ერთი ღრუბელიც არსად სჩნდა. ვინ იფიქრებდა, რომ მოწმენდილს ცაზე მეხი გავარდებოდა მოულოდნელად?

ცხადია, რომ ეს იაფფასიანი პუბლიცისტიკა ზოგიერთთა უზრუნველობის და დანაშაულობის გასამართლებლად არის მოგონილი. მსოფლიო ომები იატაკქვეშ მზადდებიან. ცეცხლის მფრქვეველი მთის ამოხეთქას წინ ქვესკნელის გრგვინვა, ფერფლის წვიმა და კვამლის სუნი უძღვის. ამ ნიშნებს ვერ ამჩნევენ მხოლოდ ბეცები, ყრუები ან კიდევ ისეთი ადამიანები, რომელნიც ნადიმს უსხედან შავი ჭირის დროს.

როცა ბერნჰარდის წიგნს ჰკითხულობ, ხშირად აძლევ თავის თავს შემდეგ საკითხს: სად იყვნენ აქამდის ის გუშაგები, რომელნიც დღეს მსოფლიო კულტურის მესვეურობას ჩემულობენ? გერმანელი გენერალი აშკარად და გასაგებათ ამბობს, რომ მისი სამშობლო გაფაციცებით მსოფლიო ომისთვის ემზადება. ბერნჰარდი, ასე ვთქვათ, თანამედროვე ომის მახარობელია. ის გრძნობს მისი მძიმე ნაბიჯების თან და თან მოახლოვებას და გულახდილად აღიარებს ამ გარემოებას. ის ამტკიცებს, რომ ომი აუცილებელიც არის და საჭიროც; ევროპიულ სახელმწიფოთა სისტემას ერთგვარი ფრანგული თოფის წამლით ავსებულ კასრს ადარებს, რომელშიც ადვილად შეიძლება თვით აფეთქება მოხდეს. მაგრამ მისი აზრით ეს თვითაფეთქება გასწმენდს და გაასაღებს ატმოსფერას.

ბერნჰარდის შეხედულებით მსოფლიო ომი აუცილებელი გახდა მიტომ რომ ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა აღარ შეეფერებოდა რეალურ ძალთა განწყობილებას. ევროპის საგარეო პოლიტიკა უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ეგრედ წოდებული „ძალთა თანასწორობის იდეაზე" იყო დამყარებული. ეს იდეა შემუშავდა ვენის კონგრესზე 1815 წელს, ნაპოლეონის ომების დამთავრების შემდეგ. ცნობილია რომ ფრანგთა იმპერატორი მსოფლიო ბატონობისკენ მიილტვოდა. ამგვარი სურვილების ალაგმავად მომავალში შესდგა დიდ სახელმწიფოთა კონცერტი, რომელშიაც ხუთი წევრი შედიოდა: ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრო-უნგრეთი, პრუსია და რუსეთი. ამ პოლიტიკურ კონცერტს ერთი მხრით ხელში უნდა სჭეროდა მსოფლიო პოლიტიკის სადავე, ხოლო მეორე მხრით თვალი ედევნებინა რომ არც ერთი მისი წევრი არ გაძლიერებულიყო შეუფერებლად.

ბერნჰარდი ამტკიცებს რომ „ძალთა თანასწორობის იდეა" მხოლოდ დიდი ბრიტანეთისთვის აღმოჩნდა ხელსაყრელი. იმ დროს, როცა ევროპის კონტინენტის სახელმწიფოები ერთი მეორეს იჭნეულობდნენ და აკავებდნენ, ინგლისელები მსოფლიოში ბატონდებოდნენ ძლიერ ფლოტის შემწეობით. დღეს დედამიწის საუკეთესო ნაწილი ინგლისს ეკუთვნის. ამიტომ არსებითად შეუძლებელია ძალთა თანასწორობაზე ლაპარაკი. მით უმეტეს რომ საერთაშორისო მდგომარეობა სხვაფრივაც საგრძნობლად შეიცვალა. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში განთავისუფლდა და გაერთიანდა იტალია. ბოლო დროს ის იმდენად მოღონიერდა რომ ხმელთა შუა ზღვის ორივე ნაპირზე განსაზღვრული პრეტენზიები წამოაყენა. ამას ზედ დაერთო ორი ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ევროპის გარეშე: იაპონიისა აღმოსავლეთ აზიაში, შეერთებული შტატებისა ჩრდილო ამერიკაში. ეს ახალგაზრდა სახელმწიფოებიც მძლავრად იჭრებიან საერთაშორისო პოლიტიკაში და სცდილობენ თავისი ნებისყოფა შეიტანონ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება თვით შუაგულს ევროპაში მოხდა. პაწია პრუსია, რომელიც ვენის კონგრესის დროს მხოლოდ ხუთ მილიონ მცხოვრებს შეიცავდა, გაიზარდა და უძლიერეს იმპერიად იქცა. გერმანელი ტომი იმდენად ნაყოფიერია და ისე სიჩქარით მრავლდება, რომ ლამის თავისი გეოგრაფიული საზღვრები გაარღვიოს. უკანასკნელ წლებში გერმანია პირველხარისხოვან სამრეწველო ქვეყნად იქცა. მისი საგარეო აღებ-მიცემობა არაჩვეულებრივად გაიზარდა, ამასთან ერთად გაუმჯობესდა საქონლის ღირსება. მისმა სავაჭრო ფლოტმა მეორე ადგილი დაიჭირა მსოფლიოში. თვით ინგლისი იძულებულია ისარგებლოს გერმანული ნაოსნობით, რომელიც მთელს დედამიწას უვლის გარს. ამის წინააღმდეგ ინგლისს გადაგვარების ნიშნები ეტყობა. შეერთებულ სამეფოში (ე. ი. დიდს ბრიტანეთის და ირლანდიის კუნძულებზე) 45 მილიონი მცხოვრები სცხოვრობს. აქედან ნამდვილი ინგლისელი მხოლოდ 32 მილიონია. ინგლისის ახალშენებში თეთრკანიანთა რიცხვი ძლივს აღწევს 15 მილიონს და ისიც თითქმის სანახევროდ არაინგლისელისაგან შესდგება. ეჭვი არ არის რომ ესოდენ მცირერიცხოვან ხალხს არ ძალუძს ამოდენა ტერიტორიის მფლობელობა. ამიტომ გასაკვირალი არ არის რომ ინგლისელები წინააღმდეგობას ვერ უწევენ გერმანელ კოლონისტებს, კომერსანტებს, ტეხნიკოსებს და მაძიებლებს, რომელნიც ფაქტიურად ხელში იგდებენ დიდი ბრიტანეთის სამფლობელოს.

როგორც კეთილმორწმუნე პანგერმანისტი ბერნჰარდი იმ აზრს ადგია რომ გერმანელები უნიჭიერესს და უკეთილშობილესს ერს წარმოადგენენ დედამიწის ზურგზე. მათ შექმნეს უშესანიშნავესი პოსიტიური მეცნიერება, უმშვენიერესი კლასიკური ლიტერატურა და ულრმესი კრიტიკული ფილოსოფია. გერმანულ სულს ახასიათებს სიღრმე, თავისუფლება, იდეალიზმი და უნივერსალობა. უკვე წარსულ საუკუნეებში გამოაშკარავდა ეს თვისებები. ახალგაზრდა გერმანელმა ტომმა დაანგრია ბებერი რომის იმპერია და უსიცოცხლო, მოდუნებულ ლათინთა რასსას ძარღვებში ახალი სისხლი ჩაუსხა; გერმანელთა ტომმა შეაჩერა თურქების ტალღა და დასავლეთ ევროპის კულტურა განადგურებას გადაარჩინა; გერმანელთა ტომმა წაართვა სლავიანებს უზარმაზარი მიწაწყალი და აყვავებულ ტერიტორიად აქცია. ძველი ეგვიპტელებისა, ბაბილოვნებისა, ბერძნებისა და რომაელების მსგავსად თანამედროვე გერმანელებს დიდი მისსია აქვთ შესასრულებელი: ისინი მოწოდებულნი არიან მეთაურობა გაუწიონ კულტურულ კაცობრიობას.

გასაკვირველი არ არის რომ ასეთი შეგნება გერმანელს ხალხში ძლიერს პათოსს ბადებს ბერნჰარდის შეხედულებით: ხალხი მძაფრად მიილტვის უმაღლესი იდეალებისკენ, რომელნიც სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენენ გერმანეთის დღევანდელ მდგომარეობისას. გერმანიას სჭირია ახალშენები და თავისუფალი გზები მსოფლიო ოკეანეში: ერთიცა და მეორეც ინგლისელებისა და ფრანგების ხელშია უმეტეს ნაწილად. ევროპის კონტინენტზე გერმანიას აღარ აკმაყოფილებს თანასწორობის პრინციპი. „ან მსოფლიო ბატონობა ან დამხობა — ასეთია ძირითადი საკითხი რომელსაც პასუხი უნდა გავსცეთ. აღარ ძალგვიძს იმ ორჭოფს მდგომარეობაში დარჩენა რომელშიც ახლა ვიმყოფებით, სახელდობ: ერთი მხრით მოსაზღვრე ევროპიული სახელმწიფოების მიერ შექმნილი ჰახრაკი; მეორე მხრით—ლტოლვა მსოფლიო ბატონობისაკენ, რომელიც გერმანელებს სათანადო მდგომარეობას მიანიჭებს. ყოველ შემთხვევაში არსებული მდგომარეობით დიდხანს ვერ დავკმაყოფილდებით... ვინც განზრახ ყურებს თითით არ იცობს ახლავე ადვილად გაიგებს მომავალი ბედისწერის ხმაურობას. სახელმწიფო მოღვაწეობის ლამაზი ფრაზებისა და მშვიდობიანობის მოციქულების უტოპიური სიტყვების მიუხედავად მე კარგად მესმის ხმა ღმერთის ნაბიჯებისა, რომელიც დაამტვრევს იმ ბორკილებს ევროპის დიპლომატიამ რომ ხალხს დაადო".

ეს ღმერთი რომლის ნაბიჯები ასე გარკვევით ესმოდა ბერნჰარდს—ომია. ავტორი ამტკიცებს რომ მხოლოდ ომის შემწეობით შეიძლება დიდი საერთაშორისო კონფლიკტების გადაწყვეტა. პირიქით სამედიატორო სამართალი სრულიად უმწეოა ამ მხრივ. ეს უკანასკნელი აუცილებლად ზეეროვნული იურიდიული და ზნეობრივი შემეცნების არსებობას ჰგულისხმობს. სინამდვილეში კი ყოველს ერს თავისებურ ესმის თავისი უფლება და ინტერესები. ვინ იქნება მათი მსაჯული? ესეც არ იყოს ვინ არის თავდები რომ მოპირისპირე მხარეები დაექვემდებარებიან სამედიატორო სამართლის გადაწყვეტილებას. ნებისყოფლობით არავინ დასთმობს არსებითს ინტერესებს. ძალ დასატანებლად კი საერთაშორისო ინსტიტუტი არსად არსებობს. ძველად რომი გამოდიოდა მსოფლიო მსაჯულის და დამსჯელის როლში, დღეს კი არც ერთი სახელმწიფო არ არის სათანადო ძლიერებით აღჭურვილი.

ამიტომ უმაღლეს მსაჯულად საერთაშორის საკითხებში ომი უნდა ჩაითვალოს. ის გადასწყვეტს ვის მხარეზეა უფლება, მიტომ რომ უფლება ეკუ-

რეთა ჯგუფები, მარკოს ჩრდილოეთით ლაგარინოს და ვალარსის ველებში. პოზინო-ასტიკის ასპარეზზედ არტილერია დრო გამოშვებით მოქმედებს. სეტე კომუნთან, საარტილერიო ბრძოლა მძვინვარებს. 24 მაისს, საღამოთი, საარტილერიო მზადების შემდეგ, ახიაგოს სამხრეთით და დასავლეთით მოპირდაპირემ რამდენიმე იერიში მოიტანა. სასტიკი ბრძოლა მოიერიშეთა დამარცხებით დასრულდა.

**პარიზი,** 27 მაისი. დღის ოფიციალი ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელების მიერ მიტანილი იერიში „304„ სიმაღლის სამხრეთ-დასავლეთით —მოვიგერიეთ. ტიომონის ფერმის აღმოსავლეთით და დასავლეთით ორი ვერსის სიგრძეზე გერმანელები იერიშებს განაგრძობდნენ და ფერმის კიტის ტყის შუა ჩვენს თხრილებში შემოიჭრნენ. შემდეგ იგინი სცდილობდნენ დასავლეთის მიმართულებით წაწევას მაგრამ შევაჩერეთ. სენ-მიელის მიდამოებში, გერმანელთა რაზმი, რომელიც მისკეს აღმოსავლეთით წამოსვლას შეეცადა,—თოფის სროლით გავფანტეთ.

**ლონდონი,** 26 მაისი. ინგლისის ოფიციალი ცნობა. ბოლო დღეებში, ვიმის და ლა-ბასეს არხის შუა სამხედრო მოქმედება გაცხოველდა 6 ნაღმი ავაფეთქეთ. ჩვენმა ნაღმმა ჰოგენცოლერნის ახლოს, მოპირდაპირის სიმაგრეები გაანადგურა. სუშეს ახლოს, თხრილების მორტირებმა და არტილერიამ საკმაო მოქმედება გამოიჩინა. ხოოსესთან მდგომარეობა უცვლელია.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### რიგის ასპარეზი

რიგის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლასთან ერთად, გერმანელები ცდილობენ წინ-წამოწევას, თუმცა დღემდე ამ ადგილებში რაიმე ცვლილება არ მომხდარა. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ რიგის მიდამოებში გერმანელები ამოქმედდნენ და მდ. აას და მის ადგილებს ზარბაზნებს უშენენ. საარტილერიო ბრძოლა დღე და ღამ განუწყვეტლივ გრძელდება. როგორც იტყობინებიან, რიგიდან დვინამდე მთელი ჯარი ამოქმედდა.

ამ უკანასკნელ დღეებში, იმ ადგილებში, სადაც რუსის ჯარი მდინარეს მარცხენა ნაპირშია გამაგრებული, განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლაა.

გერმანელებს მიზნად დაუსახავთ იკსკულის იაკობშტატის და დვინსკის მიდამოებიდან რუსის ჯარის დაძვრა ნ მდინარის მარცხენა ნაპირზე ფეხის მოკიდება. ეს არის მიზეზი, რომ ამ ადგილებში განუწყვეტლივი საარტილერიო ბრძოლაა. ოგერ-რემერსგოფშტოკმან-სეოფის ხაზით არტილერია და მფრინავებიც ამოქმედდნენ, გარდა ამისა ორივ მოპირდაპირემ ამ ადგილებში მზვერავთა რაზმები გააძლიერა.

### ვერდენთან

„ბირჟ. ვედ." ბ. შუმსკი ვერდენის შესახებ სწერს: ზღვაზე ბრძოლის დროს შეუმჩნევლად ჩაიარა—ვერდენთან გაცხარებულმა ბრძოლამ, სადაც გერმანელები უმაგალითო თავგანწირვით ეკვეთნენ ვერდენს, რადგანაც გერმანელთა შეტევა მაასის მარჯვენა მხარეზე მოხდა, რწმუნდებით, რომ ვერდენთან მოქმედებამ სერიოზული ხასიათი მიიღო, თუმცა დღემდე ვერდენის ბედი უზრუნველყოფილად მიგვაჩნდა. გერმანელები ვერდენის ასპარეზით 7 ვერსის მანძილზე იმყოფებიან დუომონ-ვოს ბურჯებიდან. მტერი რკალივით შემოერტყა სიმაგრეებს ისე, რომ მას საშუალება ეძლევა სამი მხრივ ზარბაზნები დაუშინოს სიმაგრეს. მის შემდეგ, რაც გერმანელებმა ხელთ იგდეს კიუმერი, მათ შეუძლიანთ ვოს ბურჯებს ზარბაზნები დაუშინონ. ამ უკანასკნელ ხანებში გერმანელთა განზრახვა გამოირკვა, მათ უნდათ ბურჯი ვო ხელთ იგდონ, რის შემდეგაც ვერდენს 4 ვერსზე მიუახლოვდებიან. თუ გერმანელებმა ვო ხელთ იგდეს, დიდ გამარჯვებათ უნდა ჩავთვალოთ დადგა დრო, როდესაც საფრანგეთის ასპარეზზე ბრძოლამ გადამწყვეტი ხასიათი უნდა მიიღოს. ეხლა ეჭვი აღარავისა აქვს, რომ ამ ზაფხულს ამ ადგილებში ახალი მდგომარეობა შეიქმნება, რომელიც არამც თუ შესცვლის მსოფლიო ომის ვითარებას არამედ ბოლოსაც მოუღებს მას.

### კრონპრინცი და ესპანიის მეფე

„ტანის" სიტყვით ესპანიის მეფეს ალფონს მე XII-ს თავის დაბადების დღეს კრონპრინცისგან მისალოცი დეპეშა მიუღია: შენი დაბადების დღეს მიიღე ჩემი უგულითადესი და უნაზესი მოლოცვა, გისურვებ მთელი წლის განმავლობაში ყოველივე კეთილს, ვიმედოვნებ და ვხარობ, რომ მალე შევხვდებით".

ესპანიის მეფემ, ფრანგულად უპასუხა: დიდად გმადლობ ხსოვნისთვის და კეთილ სურვილებისთვის. გისურვებ ყოველივე კეთილს.

### საბერძნეთში.

„ნოვ. ვრემია" ჰსწერს: მოკავშირეებმა საალყო წესები გამოაცხადეს სოლუნში, იმ გარემოების მიხედვით ჩვენ ვფიქრობდით, მოკავშირეთა დიპლომატები ათინას დიდ ყურადღებას მიაქცევდნენ. ნამდვილად კი, უთადარიგობა გამოიჩინეს. ეს ამტკიცებს, თუ რა გზა აბნეულად და ზანტად მოქმედობს მოკავშირეთა დიპლომატია. დღევანდელი კითხვა ათინას შეეხება და არა სოლუნს. თავზარი უნდა დავცეთ, უკვე დაჭერილ სოლუნს, კი არა საბერძნეთის დედა-ქალაქს—ათინას.

### გერმანეთ-საბერძნეთის მოლაპარაკება

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი ამბობს: გერმანელებს ადრევე ჰქონდათ საბერძნეთთან მოლაპარაკება. იგინი აღნიშნავდნენ იმ საფრთხეს, რომელსაც შეეძლო გამოეწვია მოკავშირეთა ჰეკგელ-დოირან-სერესზე წაწევა. გერმანელებმა ძლივს დაარწმუნეს საბერძნეთი, რომ ფრიად საჭიროა, საბერძნეთის ზოგიერთი ადგილები ბულგარეთ—საბერძნეთის ჯარმა დაიჭიროს."

# დეპეშები

### (პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

რუსეთის ასპარეზზე ვოლინიის და გალიციაში ბრძოლა გრძელდება. ტყვეთა რიცხვი კიდევ მიემატა 185 ოფიცერი და 13. 714 ჯარის კაცი.

26 მაისს მტრის არტილერია ამოქმედდა კრევოს ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ვერდენის ასპარეზზე მაისს მარცხენა ნაპირზე „304" მაღლობიან გერმანელებმა იერიში მიიტანეს.

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელებმა [illegible] ბრძოლა გაიჩაღეს.

სეტეს კომუნის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

1896 წ. დაბადებული და უმაღლეს სასწავლებლის 1 ან 2 კურსებზე მყოფთა [illegible] მიუხედავად იმისა, რომ მეორე ხარისხოვანი არიან, ჯარში უნდა გამოცხადდნენ.

ინგლისს გადაუწყვეტია საბერძნეთის წინააღმდეგ ზღვაზე ზომები მიიღოს.

**დღესასწაულის გამო „საქართველოს" შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1 თიბათვეს.**

# ახალი ამბავი

◆ **სახალხოში.** [illegible]

◆ **თბ. დედათა გიმნაზიადან** [illegible]

◆ [illegible]

◆ **შავშელთა დეპუტაცია** თბილისში ჩამოვიდა შავშელთა დეპუტაცია ართვინის ოლქის ს. კუჭელის მცხოვრებნი: არიფ შავლაძე, მოლლა ქიამილ ბერიძე, მოლლა ისმაილ ბერიძე და მოლლა მაჰმუდ ჩხეიძე და ინახულეს თბ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი, რომელსაც დახმარება სთხოვეს სასჯელთა შემსუბუქების შესახებ უკანასკნელ პროცესიის დროს სიკვდილ მისჯელთათვის [illegible]

◆ **ავიატორი ხაჯი.** [illegible]

◆ **„ღალატი ქართულად".** ორშაბათს, 30 მაისს სახაზინო თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების თაოსნობით [illegible] „ღალატი". [illegible]

◆ [illegible]

◆ **ბანკის ახალი თავმჯდომარე.** სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა კ. მ. გიგინეიშვილი, დირექტორებად: რ. ი. გოკიელი და ნ. ფ. თიობული.

◆ **რეფერატი ალ. სუმბათაშვილისა.** თ-დი ალ. სუმბათაშვილი 2 ივნისს ქ. ქუთაისში წაიკითხავს რეფერატს. რეფერენტი. პირველ განყოფილებაში შეეხება თანამედროვე თეატრის საკითხებს. მის საკაცობრიო და ნაციონალურ მიმდინარეობას და მიზნებს თეატრის კრიზისს დიდი ომის დასაწყისის წინ. თეატრის მნიშვნელობას ჩვენ დროში, მის მომავალის აღორძინებას და საერთო მსოფლიო აღდგენას სამარადისო სამართლიანობის და ჰუმანობის პრინციპებისა, რომელნიც დათრგუნა გერმანულმა მილიტარიზმმა და მატერიალიზმმა. მეორე განყოფილებაში პატივცემული რეფერენტი წაიკითხავს 1) ნაწყვეტებს „ღალატი"-ს ლეგენდიდან, 2) ოტელოს სიტყვას სენატის წინაშე შექსპირის ტრაღედიიდან, 3) მონოლოგს, ოსტროვსკის ხრონიკიდან „დიმიტრი თვითწოდებული და ვასილი შუისკი" 4) კლერმონტის ტაძარი—მაიკოვის პოემა.

◆ **ურიის სისხლი.** ოთხშაბათს 1 ივნისს სახალხო სახლში, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ანრი ბერნშტეინის სახელგანთქმული პიესა „ურიის სისხლი". პიესას დასდგამს ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

◆ **ქალაქის თვითმართველობის არჩევნები.** ქალაქის საბჭოს პირველ კრებაზე არჩეულ უნდა იქმნან გამგეობის 2 წევრი ნაცვლად ალ. მ. არღუთინსკისა და მ. ა. ჯაბარისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ.

◆ **შოფერების ალაგმვა.** შოფერების თავაწყვეტილობისათვის, როგორც გადმოგვცეს, ადმინისტრაციას მიუქცევია ყურადღება და ადგენს საგანგებო პროექტს ამ გარემოებასთან საბრძოლველად. განზრახულია სხვათა შორის დამნაშავე შოფერებს აეკრძალოთ ბირჟაზე გამოსვლა, ხოლო ავტომობილები ჩამოერთოთ მათ პატრონებს.

◆ **მუშათა რწმუნებულების არჩევა.** დღეს, 29 მაისს, ხელოსანთა გამგეობაში კრება ექნებათ წვრილ სახელოსნოების მუშებს. კრებამ უნდა აირჩიოს 7 თავისი წარმომადგენელი, რომელნიც წინად არჩეულ 3 წარმომადგენელთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საგანგებო კომისიაში, რომელშიაც აგრეთვე შედიან 10 წარმომადგენელი წვრილ ხელოსანთა მხრივ და 10 ხმოსანი ქალაქის საბჭოს მხრით, ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს წეს-რიგი წესიერ დასვენებისა წვრილ სახელოსნოებში.

◆ **მანთაშევის სავაჭრო სკოლა** წელს 13 ყმაწვილმა დაამთავრა. მათ შორის ორმა ქართველმა: იპოლიტე ელიავამ და გრიგოლ იოსებაშვილმა ორთავემ წარჩინებით.

◆ **ქანდაკებანი საქალაქო სახლისათვის.** [illegible] ნიკოლაძეს ქალაქის გამგეობამ შეუკვეთა ქანდაკებანი შიოევისეულ საქალაქო სახლისათვის (გოლოვინის პროსპექტზე). ამ დღეებში ბ-ნ ნიკოლაძის სახელოსნოში იყვნენ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, გამგეობის ყველა წევრები და ინჟინრები მუხარინსკი, ქურდიანი, დიასამიძე და ჩისლიევი. ამათ დაათვალიერეს რამდენიმე ესკიზი ქანდაკებისა, (სხვათა შორის დიონისის დღესასწაული), და მოიწონეს. ბ-ნი ნიკოლაძე უკვე შეუდგა ქანდაკებათა შესრულებას.

◆ **ჯარში გაწვეულ ოჯახთა** გასართობად თიბათვის პირველ რიცხვიდან ვიდრე ენკენისთვემდე მამა დავითის მთაზე განზრახულია მოეწყოს კინემატოგრაფიული სეანსები თვეში თორმეტჯერ. ოჯახებს ჯგუფ-ჯგუფად მიიწვევენ გასართობებში. თითო ჯგუფში არა ნაკლებ 300 სულისა. კომისია, რომელიც ამ ოჯახთა პატრონობას განაგებს, უკვე შეთანხმდა ფუნიკულერის გამგეობასთან რომ 20 პროც. ნაკლებ იანგარიშოს მოგზაურობა. სულ ნავარაუდევია 20.000 სული. ყოველ დღიური ხარჯი კი 1600 მანეთი. გასართობები 8 ნახევარ საათ. გასტანს სალამოთი.

◆ **ქელმოქმედთა საყურადღეოდ** ვაცხადებთ, რომ ან. დავითაშვილისა დიდ გაჭირვებას განიცდის და დახმარება ესაჭიროება. თვითონ მოხუცებულია, სარჩენი ჰყავს ქვრივი ქალი ოთხი შვილით.

მისამართი: რიყე, დავით ყაზაროვის სახლი.

◆ **გადასახადი თამბაქოზე.** გამოცხადა უმაღლესად დამტკიცებული გადასახადი თამბაქოზე. 1) 1 გირვანქა უმაღლეს ხარისხის თამბაქოზე № ა—6 მანეთი, უმაღლეს ხარისხზე № ბ—4 მ. 80 კ., უმაღლეს ხარისხის № ვ—3 მ. 70 კ., 1 ხარისხზე—2 მ. 67 კ., 2 ხარისხზე—1 მ. 90 კ. მესამე № ა—2 მ. 8 კ., მესამე № ბ—67 კ. 2) ბურნუთზე—1 გირვანქამდე—1 მ. 90 კ. 3) სიგარებზე 1000 ცალზე—1 ხარისხისა—25 მან. 70 კ. მეორე ხარისხზე —16 მ. 40 კ. მესამეზე 6 მ. 75 კ. 4) სიგარეტკებზე და პაპიროსებზე 1000 ცალზე 6 მან. 5) პაპიროსებზე 1000 ცალზე: უმაღლეს ხარისხისა № ა —10 მან. უმაღლეს ხარისხზე № ბ—7 მან. 50 კ., პირველ ხარისხზე—6 მ. მეორეზე—4 მან. 50 კ. მესამეზე № ა —3 მ. 80 კ. და მესამეზე № ბ—2 მ. 30 კ. 6) მახორკაზე 1 გირვანქაზე—40 კ. და 7) მახორკის პაპიროსებზე—1000 ცალზე 1 მანეთი.

# მოწოდება

1916 წელს ქ. თბილისში დაარსდა გამომცემი ამხანაგობა „საქართველო". ამხანაგობა ამ ჟამად სცემს გაზეთს „საქართველო"-ს და ახლო მომავალში მას მიზნად დასახული აქვს ფართე და მტკიცე ნიადაგზე დააყენოს ტეხნიკური, პროფესიური და ეკონომიური ცოდნის გავრცელება, რომ მით ნიადაგი მოუმზადოს და ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის, მრეწველობის და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას. ბეჭდვის და სიტყვის საშუალებით საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში წიგნის საწყობების, კიოსკებისა და ამხანაგობის განყოფილებების დაარსებით. „საქართველოს" გამომცემლობა ემსახურება დასახულ მიზანს და ამხანაგობას სწამს, რომ ასეთს მის მუშაობას ჩვენს სამშობლოში ისეთივე შედეგები მოჰყვება, როგორც სხვა დაწინაურებულ ერთა ცხოვრებაში. გამომცემი ამხანაგობა „საქართველო" ჩვენი ერის ქონებრივ და გონებრივ გაძლიერებით ქართველ ერის ეროვნულ აღორძინების დიად საქმეს ემსახურება და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებთ. გამომცემლობის თანხა ნავარაუდევია 100 ათასი მანეთი. საამხანაგო პაი ღირს 50 მანეთი, სრული ამხანაგობის კი 250 მანეთი. საპაიო ფული უნდა გამოიგზავნოს ამხანაგობის ხაზინადრების [illegible] ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილს (Тифлисъ, Саперная, 11. соб. дом.) და იოსებ იოსების ძე გველესიანს (Тифлисъ, Армянскій базаръ), რომელთაგანაც მიიღებთ დროებით საპაიო კვიტანციას.

ხელს აწერენ:

**ი. დადიანი, ნ. ჟაყელი, ლ. მამულაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ი. ელიაშვილი, ა. თ. ყიფშიძე, ვ. ყიფიანი, რაჟ. დათეშიძე, ნ. ბარაბაძე, ა. ს. საყვარელიძე, ი. მთავრიშვილი, ად. ზ. ბერელაშვილი, ი. ხარაშვილი, ი. მაჭავარიანი, ი. გველესიანი.**

ვე ძალაა. ომში იმარჯვებს ძლიერი, ნიჭიერი, კულტუროსანი ერი. ომი რომ არ ყოფილიყო დაბალი ხარისხის გარყვნილი რასსები თავისი რიცხვით და თავისი კაპიტალით დაახშობდნენ და შეაჩერებდნენ ჯანსაღი და ღონიერი ელემენტების განვითარებას. ამას საერთო გადაგვარება მოჰყვებოდა. ომი ერთგვარ კრისტალიზაციას ახდენს. მხოლოდ ომი აუმჯობესებს კაცობრიობას ბიოლოგიურად: უმისოდ კულტურა ავადმყოფურ მიმართულებას მიიღებდა.

მართალია ომში იღუპება ხალხის ახალგაზრდა და ჯანსაღი ნაწილი, მაგრამ სამაგიეროდ ის ასაზრდოებს სიმამაცეს, თავგანწირულებას, მეგობრობას და საუკეთესო პირობებს ჰქმნის გამარჯვებულ ხალხისთვის. ისიც შესაძლებელია რომ რამოდენიმე ხნის განმავლობაში სუსტმა და უკულტურო ხალხმა რიცხვით დასჯაბნოს ძლიერი და კულტუროსანი, მაგრამ საბოლოოდ ეს უკანასკნელი მაინც თავისას გაიტანს: ის წელში გამაგრდება, ძალას მოიკრეფს და გადაახალისებს თავის დამპყრობელს. ხანდახან დამარცხებაც კი ზნეობრივად ამტკიცებს და ამაღლებს ერს. ბურები ინგლისელებთან ბრძოლაში დამარცხდნენ, მაგრამ ახლა გაერთიანდნენ და ჩქარა მთელ სამხრეთ აფრიკას დაეპატრონებიან.

როგორც ვსთქვი ბერნჰარდი ორიგინალური მოაზროვნე არ არის და მის ომის აპოლოგიაში არაფერია მოულოდნელი. ომის ზნეობრივად გამართლებას ბევრი მოაზროვნე სცდილა წარსულში. არისტოტელი ამბობდა, რომ „ომი ერთგვარი ნადირობაა იმ ადამიანების წინააღმდეგ მიმართული, რომელნიც მორჩილებისთვის დაბადებულან, მაგრამ გაურბიან მონობას; ძლიერთა ბატონობის უფლება მათ უპირატესობაზეა დამყარებული". ინგლისელი ფილოსოფოსი ჰიუმი იმ აზრის იყო რომ ომი აუცილებლად საჭიროა კაცობრიობის კულტურული ენერგიის შესანარჩუნებლად: შეიძლება მართალი იყოს რომ მუდმივი ომი ადამიანებს გარეულ მხეცებათ აქცევდა, მაგრამ მუდმივი ზავი მათ სატვირთავ ცხოველებათ გახდიდაო. ფრანგი ფილოსოფოსი ვიქტორ კუზენიც დიდათ აფასებდა ომის მორალურ გავლენას. ის სწერდა: „ამა თუ იმ ერის ღირსება სავსებით ბრძოლის ველზე აშკარავდება; ის იქ მთელი თავისი ავლადიდებით გამოდის. თუ დამარცხდა, ეს იმას ნიშნავს რომ მისი მოწინაალმდეგე უფრო ზნეობრივი, უფრო მომქმედი, უფრო წინდახედული, უფრო ბრძენი და უფრო მამაცი ყოფილა". ფრანგი მწერალი ედმონდ აბუ ომს სთვლიდა კაცობრიობის კულტურის მთავარ მამოძრავებელ ძალად: ეს ომის წყალობაა, რომ დიადი ბედისწერის გზას დაადგა ადამიანი, ეს მომავალი უნტერაფიცერი მაიმუნთა არმიისაო. ომის იდეოლოგები იყვნენ: ბოსუეტი, მონტესქიე, ჟოზეფ დემესტრი, პრუდონი, სპენსერი, ტრეიჩკე და სხვ.

არ ვიცი რავდენად კარგად იცნობს ყველა ამ მოაზროვნეს ბერნჰარდი, ის კი ყოველ შემთხვევაში უეჭველია რომ თვითონ სავსებით ომის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფება. ის წინასწარმეტყველობს თანამედროვე მსოფლიო ომს; თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი დეტალიც წინასწარ აქვს გათვალისწინებული. იცის რომ გერმანიას ორ ფრონტზე მოუხდება ბრძოლა რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, რომ ინგლისელები ფრანგებს დესანტს მიაშველებენ, რომ ბელგია სამთა შეთანხმებისაკენ გადაიხრება, რომ იტალიას გაუჭირდება საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ გამოსვლა და სხვა... კარგად გრძნობს რა დიდი საფრთხე მოელის გერმანიას, რომ თითქმის განმარტებული სდგას უდიდესი კოალიციის წინაშე. მაგრამ გერმანელი გენერალი მაინც იმ აზრისაა, რომ მის სამშობლოს არც ისე ცოტა შანსები აქვს საბოლოო გამარჯვებისა, როგორც პირველი შეხედვით სჩანს. ომის ბედი დამოკიდებულია არა მარტო მოპირდაპირე ჯარების რიცხვზე, არამედ მის სულიერ და ფიზიკურ თვისებებზეც. ამ მხრივ კი გერმანიის არმიას, ავტორის აზრით, უპირველესი ადგილი უჭირავს დედამიწის ზურგზე. პირიქით, მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს შორის მხოლოდ საფრანგეთს შეუძლია შესაფერი ჯარის გამოყვანა. „რასაკვირველია არსოდეს ქარაფშუტულად არ უნდა დავამციროთ მტრის ძალა, რომ შემდეგ სინამდვილეში იმედი მწარედ არ გაგვიცრუვდეს, როგორც ეს საფრანგეთს მოუვიდა 1870 წელს, ხოლო ინგლისს სამხრეთ აფრიკაში. მაგრამ კიდევ უფრო ცუდია მტრის ძალის გაზვიადება, მიტომ რომ ეს ჰკლავს ყოველ ენერგიას და საფრთხეს აჩენს იქ სადაც სრულიად არ არსებობს. კუროპატკინი მანჯურიაში ასეთი წარმოდგენის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ყოველთვის ხელიდან უშვებდა გამარჯვების საუკეთესო შემთხვევას. საჭიროა როგორც მოწინააღმდეგის ისე თავის თავის ძალების მიუდგომელი დაფასება. ამიტომ მგონია რომ ფრანგის ჯარი სრულიად ღირსეულ და სერიოზულ მოწინააღმდეგეთ უნდა ვსცნოთ. ყველაფერი რაც მის შესახებ ვიცით ადასტურებს ასეთ შეხედულებას. გაუგებარიც იქნებოდა რომ უნაყოფოდ დაკარგულიყო ფრანგის ერის მრავალწლოვანი შრომა, რომელიც არმიის ღირსების გაუმჯობესებას და პატრიოტიზმის განვითარებას მოხმარდა. უნდა შეურიგდეთ იმ ფაქტს რომ დასავლეთის საზღვარზე ჩვენ პირველხარისხოვან ჯარს შევხვდებით, რომლის შემუსვრა აუცილებელი პირობა იქნება საბოლოო გამარჯვებისა... რუსის არმია კი დღესდღეობით საფრანგეთისაზე დაბლა უნდა დავაყენოთ, თუმცა რუსის ჯარისკაცი ყოველთვის მშვენივრად იბრძოდა, მაგრამ საერთოდ რუსის ჯარმა უკანასკნელ ომებში ისე აშკარად გამოიჩინა ინიციატივისა, სულიერი ღირსებების და ტაქტიური მომზადების უქონლობა, რომ შეუძლებელია მოკლე დროში რაიმე შეცვლილიყო. არცერთს უკანასკნელს ომში, სკობელევს გარდა, არც ერთი ნიჭიერი სარდალი არ გამოჩენილა. გამოაშკარავდა მხოლოდ სრული, უიმედო უნიჭობა... რუსეთ-ოსმალეთის და რუსეთ-იაპონიის ომმა დაამტკიცა რომ რუსის ჯარის დამარცხება შეიძლება ბევრად ნაკლები ძალებით... ბოლოს რაც შეეხება ინგლისის ჯარს, მისი თვისებები ბურებთან ბრძოლამ გამოაშკარავა. ინგლისელებმა ვერ დაამარცხეს გლეხების მილიციაც კი, თუმცა რიცხვით რავდენჯერმე სჭარბობდენ მას. ესეცა რომ ინგლისში ჯარი არ წარმოადგენს ერის საუკეთესო ელემენტს მიტომ რომ ხალხის უმდარეს წრეებში იკრიფება. ხელმძღვანელებმა გამოაშკარავეს რომ მათ აკლიათ მხედრული სული და პირადი ინიციატივისა და გამბედაობის დაფასება..."

ასეთია გერმანიის კავალერიის გენერალის აზრი სამთა შეთანხმების არმიაზე. მისი შეხედულებით ამ არმიის ღირებულება რამოდენიმეთ აქარწყლებს მისი რიცხვის მნიშვნელობას. მსოფლიო ომის შედეგები დაგვანახვებს რავდენად მართალია ავტორი თავის დაფასებაში.

**გერონტი ქიქოძე.**

# თავ. ალ. სუმბათაშვილის გენეზისი

„ააა! ღვთის გულისათვის, ხმას ნუღარ იღებთ, წადით და მოიქეცით ისე, როგორც მე გითხარით", ეუბნება სუმბათაშვილი-ბუგე იადვიგა-ლევშინას პირველ მოქმედებაში, როდესაც უკანასკნელი დიალოგის შემდეგ ცდილობს შეაჩეროს კიდევ რამდენიმე ხნით. ზემოთ მოყვანილ სიტყვების თქმის შემდეგ ბ. სუმბათაშვილს პირი სცენის სიღრმისაკენ აქვს მიქცეული, ჩვენ ვხედავთ მხოლო მის ზურგს, მაგრამ ყველანი მასთანვე განვიცდით არა მარტო პოზის პლასტიკას, არა, ეს კიდევ არაფერი, მაყურებელისათვის ცხადზედ უცხადესია აქ მარტივი ქანდაკება სულიერ მდგომარეობისა ამ მომენტში.

„მოიცა, შენ ეს იყო მითხარი, რომ ქალის წარსულს, შენთვის მნიშვნელობა არა აქვს" ჰკითხავს სუმბათაშვილი-ბუგე თავის მეგობარს ბლონდელვასილევს, როდესაც მას ურჩევს ცოლის შერთვას. აქაც ისევე უბრალო, მეტათ თავისუფალი და მასთან საგანგებო სინამდვილით მთლიანად დაცულია შემოქმედება. როგორც პირველად, ისევე ახლა დიდებულია ბ. სუმბათაშვილი არა მიტომ, რომ იგი მხოლოდ ლამაზათ ამბობს ამა თუ იმ წინადადებას, ან და მეტს ტემპერამენტს, მეტ განცდას გადმოგვცემს; არა. მე სრულებით ამიტომ არ ვილებ მას სხვა და სხვა მომენტში. დიდებულია თავ. სუმბათაშვილი, როგორც გონიერი მხატვარი; მე ვამბობ გონიერი და არა მგრძნობიარე მხატვარი, რადგან ბ. სუმბათაშვილი ეკუთვნის პირველს და არა უკანასკნელს.

დააკვირდით მას, რომელ მომენტშიაც გნებავთ, გაჰყევით მას მისი შემოქმედების თვალსაზრისით და დარწმუნდებით, რომ თავ. სუმბათაშვილს ყოველისფერი წინ და წინვე გაზომილი და გარკვეული აქვს. აიღეთ თუნდა ის ძლიერი მომენტი, როდესაც გაშმაგებული, გაბოროტებული ბ. სუმბათაშვილი-ბუგეს საზიზღარი საქციელით მისი მეგობარი ბლონდელი ჰხევს მის დიდებულ სამეცნიერო შრომას, სპობს, ჰკლავს მის აზრს, ისევე როგორც ბუგემ მოჰკლა მისი გრძნობა. ამ საშინელ სურათის დროს სუმბათაშვილი თავზარდაცემული ყვირის, თითქმის გონებას ჰკარგავს, ე. ი. მხოლოდ სცენაა უკიდურეს სულიერ მღელვარებისა, მაგრამ მიუხედავათ ამისა სუმბათაშვილი მაინც მსახიობია, არტისტია. წარმოიდგინეთ მსახიობია განზრახ, მოფიქრებით. კი-

დევ მეტი, სუმბათაშვილი—ბუგე მესამე მოქმედებაში კვდება, და აი აქაც ამ საშინელ მგრძნობიარე სურათში იგი თავისას არ იშლის და ბოლომდის მსახიობად რჩება არ არსებობს არავითარი ძალა სცენაზედ, რომ მას ხელი შეუშალოს და ოდნავ მაინც გამოიყვანოს ყურადღების ფოკუსისაგან. და სწორედ ამიტომაც არის იგი დიდებული და დიდი მსახიობი.

წინა წერილებში ბ-ნი სუმბათაშვილი კლასსიკად მოვნათლე და კარატიგინის შეგირდი ვუწოდე. უნდა გამოვტყდე, რომ ერთის მხრივ ვშიშობდი. ვფიქრობდი, ვაი თუ ვსცდები და ჩემი აზრი მეტად კადნიერი გამოდგეს მეთქი. მაგრამ, რაც გუშინ წინ, მისი ბენეფისის დროს ვნახე, მარწმუნებს, რომ არ ვსცდებოდი.

თავ. სუმბათაშვილი არ არის რუსის მსახიობი, მისთვის უცხოა რუსეთის სკოლა. თუ რუსის მსახიობი სინამდვილეს ეძებს შემოქმედებაში, ჰფიქრობს რომელიმე გმირის მდგომარეობა სულიერად და მასთანვე გულწრფელად განიცადოს, თავ. სუმბათაშვილი ამ დროს ფიქრობს, რასაკვირველია, გულწრფელობა მისთვისაც უცხო არ არის, და თავის შემოქმედებითი „მე“ ფხიზელ დარაჯად უყენია. „გულწრფელობა“ სცენაზედ მოჩალოვის მიერ არის ნაკარნახევი რუსეთის სცენაზედ. თვით ბ-ნი სტანისლავსკი თავის თეორიაში ანვითარებს მხოლოდ მოჩალოვის ნაანდერძევს. მსახიობმა გულწრფელად უნდა განიცადოს ამა თუ იმ გმირის მდგომარეობა და ამ გულწრფელობით შეპოჰოს, მოხიბლოს მაყურებელნი. თავ. სუმბათაშვილისათვის კი გულწრფელობა სცენაზედ მხოლოდ პირადი თვისებაა მსახიობისა და არა საშუალება სცენიურ სახის გამოსაქანდაკებლად. შეიძლება რომელიმე მსახიობმა ძალიან გულწრფელად განიცადოს მომქმედი პირი, მაგრამ მისი გაცოცხლება სცენაზედ, მხატვრულ სახის შექმნა კი ვერ შესძლოს. მსახიობის შემოქმედებაში უპირველესი ადგილი ეკუთვნის მსახიობის ფიზიკას, თავისი თავი მსახიობისათვის ერთად ერთი საშუალებაა, რომლის გარდაქმნით ჩვენს გრძნობას და გონებას გააფხიზლებს. თავ. სუმბათაშვილი განსაკუთრებული მსახიობია სწორედ ამ მხრივ. მთელი თავისი ფიზიკალურსა და ფსიხოლოგიურს არსებობას ანვითარებს ისე, როგორათაც მას სურს, ეს მის ამა თუ იმ მომენტში იგი სრული ბატონია თავისა თავისა და მასთან ძლიერ მარტივი. თავ. სუმბათაშვილი მასთანვე განათლებული და დიდი ცოდნით აღჭურვილი ადამიანია. მან ისე საუკეთესოდ იცის სცენა, რომ ვერასოდეს ვერ უპოვით შეცდომის მაგალითად პერსპექტივის დაცვის მხრივ.

ქ-ნ ლევშინას, როგორც მსახიობს, ერთი მეტად დამახასიათებელი თვისება აქვს. მომქმედ პირის იმ მთავარ ხასიათში, რომლითაც დრამა- მოქმედებას უკავშირდება, მთელი არსებით გადადის, განიცდის, სცოცხლობს მხოლოდ და მხოლოდ ამ ხასიათით და ორგანიულად მთელ ტიპის გადმოცემას სრულებით არ ჰფიქრობს. ამიტომ ლევშინა სცენაზედ მხოლოდ სახეა და არა ცივი, ცოცხალი, სინამდვილის ტიპი. თუ ლევშინა-რუქაია დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა „ღალატში“, სადაც რუქაია მხოლოდ სახეა და არა ტიპი, სამაგიეროდ ლევშინა-იადვიგა ცალმხრივია და საერთო ანსამბლსაც არღვევდა.

დანარჩენი მსახიობნი რაც ძალა შესწევდათ ხელს უწყობდნენ ბ. სუმბათაშვილს.

**ალექსანდრე ახმეტელი.**

## ებრაელები და ქართველები

განვლო ათმა წელიწადმა, ჰოლანდიის ქ. გააგაში მთელი ქვეყნიერების ებრაელების საუკეთესო დიდ პირებს თავი მოეყარათ კონგრესზე. ხუთი დღე მოსვენება არა გვაქვს, სხდომები გრძელდება ღამის სამ საათამდე. აივანზე თავი მოუყრიათ დიდ პირებს და ისვენებენ. ჩვენი განთქმული პუბლიცისტი ნახუმ სოკოლოვიც იქ გამოსულიყო. როცა დამინახა, მომმართა: ძალიან მინდა თქვენთან საუბარი, მაგრამ არ იქნა, ვერ მოვიცალე. ცოტა რამ მიამბე ჩვენი ძმების ამბავი, მათი ცხოვრება საქართველოშიო.

უცებ წამომადგა დიდ თმიანი კაცი, რომელიც მალე ვიცანი, და ალტაცებით მკითხა:

— თქვენ განა საქართველოდან ხართ?

— დიახ, ვუპასუხე.

— იცნობთ ქართველ მწერლებს ილია ჭავჭავაძეს ან და აკაკი წერეთელს?

როცა დადებით ვუპასუხე, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა და ამნაირად დაუხატა იქ დამსწრე პირებს (ძალიან ბევრმა გამოჩენილმა პირებმა მოიყარა თავი): „მე გავიცან ა. წერეთელი ქ. პარიზში და ი. ჭავჭავაძე კი პეტერბურგში. აი ნამდვილი ადამიანები, აი ნამდვილი იდეალების მსახურნი, რომელი იდეალიც უქადის კაცობრიობას ბედნიერ გზასაო, რასაც დაამოწმებს პსიხოლოგიურად ქართველი ერის და ებრაელების დაახლოვება“. დიდი აღელვებით გაისმა ხმა: „გაუმარჯოს იმ ქართველ ერს, რომელსაც ასეთი ძლიერი და სუფთა თვისება ჰქონია“.

კონგრესის გათავების შემდეგ მატარებლით გზას გავუდექით, ერთად ვიმგზავრეთ ქ. ბერლინამდე. ლაპარაკი თითქმის უმეტესად სულ ქართველ ერს შეეხებოდა. ბ. ნ. სოკოლოვმა ისე აღნიშნა ქართველი ერის წარსული და აწმყო მდგომარეობა, როგორც ნამდვილი საქართველოს შვილი. მანაც და შალომ რაბინოვიჩმაც ერთად დიდი სურვილი გამოსთქვეს, სწვეოდენ საქართველოს და ესწავლათ ქართული ენა. შალომმა ეს ვერ მოახერხა, რადგანაც იგი ავად შეიქნა და ექიმების რჩევით იტალიაში გადასახლდა, საცა ბევრი იტანჯა და ბოლოს ნიუიორკში გადაიცვალა სწორედ იმ დღეს, როცა ქართველი იროდიონიც გადაიცვალა განა თუ სიცოცხლეში ვერ შეხვდენ ეს ორი თავიანთ ერის და კაცობრიობის იდეალის მსახურნი და სიკვდილს შემდეგ შეხვდენ ერთი მეორეს? ოხ! დიდია იროდიონის სიკვდილი, დიდია შალომის სიკვდილიც, მიტომ რომ ჩვენ გვინდოდა შალომი მართლაც სტუმრებოდა საქართველოს, უფრო გაეცნო ქართველი ერის ადამიანობა, დიდი სული და მისი ძვირფასი ფსიხოლოგია, გაეცნო და გაეცნობებინა ევროპა-ამერიკასთვის, რომ არსებობს ერთი ერი პატარა საქართველოს მთებ შუაო, რომელსაც მჭიდროდ უკავია ხელში დროშა კაცთმოყვარეობის იდეალისაო, არამც თუ ეხლაც, როცა ევროპაც ამ გზას ადგია (არამედ) მას ეს ეკავა ორი ათასი წლის წინადაც და არც დღეს უშვებს ხელიდან. მე ბევრგან ვსთქვი და სიმართლეც ასეა თუ ვუყურებთ რომ ქართველი დეპუტატები მედგრად იცავენ დაჩაგრული ერების საკითხს სათათბიროში, მხოლოდ ქართველი პსიხოლოგიით აიხსნება ეს არა რომელიმე პროგრამის მიხედვით. იმისთანა დეპუტატებიც იყვნენ, რომლებიც სრულიად სხვა პარტიას ეკუთვნიან, მაგრამ მაინც მედგრად იცავენ ჩაგრული ერის საკითხს. მართალია, დიდი, დაუვიწყარი ულრმესი მადლობა ეკუთვნის პატივცემულ ჩხენკელსაც, ჩხეიძესაც, მაგრამ მე მაინც მათ ასეთ დიდ ამაგს ქართველობას ვაწერ და არა პროგრამას.

ავიღოთ მაგალითი 9 მაისს თბილისში მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით თავადმა დავით ნიჟარაძემ, დიდი საისტორიო მოვლენა დაატრიალა, გაბედულად შეიტანა საერობო თათბირზე ებრაელების საკითხი; თავის მხრით მხურვალე გულით წარმოსთქვა სიტყვები, რომლის გავლენითაც პატივცემულმა კრებამ საკითხი ჩვენ სასარგებლოდ მიიღო. ეს ბატონი ნიჟარაძე მგონია ცნობილ პროგრამას არ ემსახურება. იგია თავადი, დიდი პირი და მაინც ასე მოიქცა. რითი აიხსნება ეს გარემოება, თუ ქართველი ერის პსიხოლოგიით არა? ჩვენ დიდი მადლობელი ვართ ბ. ნიჟარაძის; მის სახელს ჩვენი ისტორია უკეთ დააფასებს. მე მხოლოდ ის მინდა დავამტკიცო, რომ იყო დრო, როცა ებრაელთა ერიც დიდად ამაყობდა თავის მეფით და თავის სამშობლო პალესტინათი და არასოდეს სხვა ერი არამც თუ არ შეუვიწროებია, არამედ უპირატესობას აძლევდა ხოლმე შეხიზნულ ერს. მტკიცეა წმინდა დაბადების ბრძანება: „შეიყვარე ხიზანი შემოხიზნულიო, დაეხმარე წაქცეულსაო“ და როცა ვხედავ, რომ ქართველი ერი ამის გამახორციელებელია ძველთაგან, ადვილად ასახსნელია ჩვენი ერის მეთაურების სიყვარული მათ მიერ. და სწორედ ჩვენ ქართველი ებრაელობაც ვყოფილვართ, ვართ და ვიქნებით ძმა ამხანაგი და ერთგული ქართველი ერისა. ქართველი ერის აღორძინება ჩვენი ერის იდეალების აღორძინებას ნიშნავს, და აი ამიტომ მათთან ერთად ხელჩართული წავალთ საქართველოს საკეთილდღეოდ. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი უფროსი ძმებიდან, ესე იგი რუსეთ-ევროპის ებრაელებიდან: „რითაც შეეძლოთ ხელი შეუწყონ ქართველი ერის აყვავებას“.

ჩვენი ძვირფასი შალომ ყალეხემ რაბინოვიჩის სიყვარულს ქართველ ერისადმი ებრაელობა საქმითაც დაამტკიცებს.

ონის ებრაელების რაბინი

**დავით ბააზოვი.**

## წერილი ბათუმიდან

ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ, როდესაც რომელიმე მხარეს უბედურება რამ დაატყდება თავს, შეირყევა მისი მყუდროება და კრიტიკულ ხანას განიცდის, დიდი არევ-დარევა ხდება როდესაც ძალზე დაჭიმულია მცხოვრებთა ნერვები და აღარავის სცალიან ყურადღება მიაპყროს ჩვეულებრივ მოვლენათ. როდესაც თვით ცხოვრების მიმდინარეობა აღარ ეტევა თავის კალაპოტში და ნაპირებიდან გადმოხეთქას ლამობს, სწორედ ასეთი დროთი სარგებლობენ საზოგადოების ნაძირალნი და ზედმეტი ხორცნი, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ხალხს და მთავრობას არ სცალიანთ მათთვის და მღვრიე წყალში თევზს იჭერენ, გამომზეურდებიან ბნელი ძალები და დათარეშობენ ცხოვრების ზედაპირზე, ღრმად დარწმუნებულნი, რომ ვერავინ მიაგნებს მათ კვალს და დაუსჯელნი დარჩებიან.

სწორედ ასეთ, გასაჭირს განიცდის დღეს-დღეობით ჩვენი სამშობლო: საქართველოს ყოველი მხრიდან მოისმის, რომ სიმშილი—მანამდე ჩვევი ქვეყნისთვის უცხო სტუმარი—ახლა მუდმივ თანამგზავრად გადაგვექცა; დიდია და აუწერელი ხალხის გაჭირვება და ტანჯვა-წამება: სოფელს ვერ ნახავს ადამიანი, შავი ძაძით არ იყოს მოსილი, ოჯახს ვერ შეხვდებით, რომ ომში მოკლულს ან დაკარგულს არ გლოვობდეს; დასახიჩრებულთა რიცხვი ხომ აუარებელი დასწოლია ოჯახს ზედმეტ ბარგად.

მიწის ორი-მესამედი დაუთესელია და თუმცა ერთი-მესამედი დათესილია მხოლოდ მუშა არა სჩანს, რომ მთელი წლის თუ არა 3—4 თვის სამყოფი ჭირნახული მაინც გაათავისუფლოს მორეული ბალახისაგან და გამარგლოს რომ კარი-კარ მათხოვრობა არ დასჭირდეს...

მაგრამ ასეთი უბედურება ბევრი გადუტანია ჩვენ ხალხს და კიდევ გაუმკლავდება; ყველა ეს მოსატანი არ არის იმ სისაძაგლესთან, როდესაც ასეთ უწუგეშობისა და სასოწარკვეთის ჟამს აღმოჩნდებიან ისეთი ზნედაცემული და გახრწნილნი, რომელნიც სხვისი ხელით გლეჯენ ნარ-ეკალს, რომელთაც თავიანთი უგვანო მოქმედებით კიდევ დეზორგანიზაცია და არევ-დარევა შეაქვთ ცხოვრებაში, საფუძველს აცლიან მშვიდობიან ცხოვრების მყუდრო ოჯახს და შიშის ზარსა სცემენ საზოგადოებას.

მე მოგახსენებთ ისეთ მოვლენაზე, როგორსაც აპრილის ოც რიცხვებში ჰქონდა ადგილი ბათუმში: ორი-სამი დღის განმავლობაში ბათუმის საზოგადოებაში ყველასგან პატივცემულმა ადამიანმა და სათაყვანებელმა ექიმმა პლ. გიგინეიშვილმა, დ. კანდელაკმა, ვაჭარმა ნ. საბაევმა და სხვებმა უსახელო წერილები მიიღეს, რომლებშიც ემუქრებოდნენ, ფული (500—600 და მეტი) ამა და ამ ადგილს მოიტანეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილი მოგელითო; ადგილობრივ უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის ინსპექტორს კი ატესტატის სამი ჩამოუწერელი ფურცელი მოსთხოვეს ხელმოწერილი და სასწავლებლის ბეჭედ დასმული.

მდგომარეობის განურჩევლად მთელი საზოგადოება აღშფოთებული იყო უტიფართა საზიზღარი საქციელით, მით უმეტეს, რომ ამ ქვემძრომთ მსხვერპლად ამოირჩიეს საზოგადოების რჩეულნი და საპატიო პირნი. ყველა ამან პოლიციის ყურამდეც მიაღწია და მოუთმენლად ელოდნენ შედეგს, მაგრამ მაისის 19 რიცხვამდე ყველაფერი ბურუსით იყო მოცული.

19 მაისს კი დანიშნულ ადგილს მივიდა ფულის წამოსაღებად „თავისუფალი მოლაშქრე“ (вольноопредѣляющійся) ვილაც ხუნდაძე, რომელიც იქვე შეიპყრო პოლიციამ და გამოტყდა კიდევ ყველაფერში, რომ წერილები მას დაუგზავნია.

საქმე გამომძიებელს გადაეცა და იმედიც აქვთ, რომ მის ამხანაგებსაც აღმოაჩენენ.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა თვით საზოგადოების ჩარევა ყოველთვის, რომ ხელი შეუწყოს ბოროტგანმზრახველთა აღმოჩენას; ეს კი ხელს შეუწყობს იმ გარემოებას, რომ გაიწმინდება საზოგადოება მავნე ელემენტებისაგან.

**ჯავახი.**

## ოსმალეთის დაპყრობილ ადგილებში

(გაკვრით)

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მეტად ცუდ ამინდებში მოგვიხდა მოგზაურობა, მე და ჩემს თანამგზავრს. დილის 9 საათი იქნებოდა, როდესაც ცხენებით გავემგზავრეთ ოლთიდან ოსმალეთის ყოფილ მიწა წყალში. სულ რამდენიმე ვერსი არ გვქონდა გავლილი, რომ ცამ შუბლი შეიკრა, შავი კუპრივით ღრუბლებმა დაიწყეს შეჯგუფება თითქოს ქვეყანას დიდ საშინელ რამეს უპირებენო... დაიწყო საშინელი ელვა და ქუხილი, რასაც მოჰყვა კოკის პირული წვიმა... არსად შესაფარი ვერ ვნახეთ და ახლო მახლო სოფელი არსად იყო. ცხენებსაც საშინლად უჭირდებოდათ სიარული, გზა მოუწესრიგებელია, ნიადაგიც თიხნარია და პატარა წვიმის დროსაც გაუვალი ხდება. ძალაუნებურად ნელა მიგვყავდა ცხენები, თან საშინელი ზხაპუნა წვიმა გვსხამდა. კარგა მანძილის იქით აღმართს შეუდექით, სადაც ეხლა გზა არის გაკეთებული, რომელსაც ეძახიან „ლესკის პერევალს“—დიდი წვალების შემდეგ მივაღწიეთ ზემო ლესკას, სადაც წითელი ჯვრის პუნქტია. ეს სოფელი ბუნებით არც ისე მდიდარია, მაგრამ ძალიან გაშლილი ადგილია, მცხოვრებ ოსმალებს აქ მიწურ გომებში უცხოვრიათ. ეხლა კი აქ აღარავინ არის...

მეორე დღეს გავემგზავრეთ. და აი აქ გადამეშალა თვალ წინ მშვენიერი სოფლები ტურტუმ-კალე, სალირი და სხ. მეტი ნაწილი სოფლებისა ძალიან ღარიბია ბუნებით... მშვენიერი სანახავია ტურტუმ-კალე, რომელსაც შუაში ჩამოურბის მდინარე ტურტუმ-ჩაი, მთელი სოფელი მოქცეულია ხილის ბაღებში. მომაგონდა ჩემი ტურფა სამშობლო, მომაგონდა ჩემი საქართველო და კურცხალი მომადგა თვალებსე: ჩემი სამშობლოც ხომ ამ გასაჭირში იყო ძველად, როცა ძალმომრეობა აშორებდა თავიანთ კერას ქართველთ. ძალა უნებურად სიბრალულმა მოიცვა ჩემი გული. თვალწინ საშინელი სურათი იშლება: ქალს და კაცს იშვიათად თუ შეხვდებით. აქა-იქა სხედან პატარა გოგო-ბიჭები ოსმალებისა, დაინახავენ თუ არა მიმავალს, წამოცვივდებიან, ჩესტს გაუკეთებენ და მუდარით მიმართავენ: „შაქარ ვერ“, „ხლებ ვერ“. „ფულ ვერ“. უნდა ჩაგახედათ მათს თვალებში, და დარწმუნდებით თუ ბავშვის უმანკო თვალები რა გაჭირვებას გამოსთქვამს, რამდენი სევდა და ვარამი ტრიალებს მათს გულში.

საერთოდ აქეთ ოსმალები ძალიან დიდ გაჭირვებას განიცდიან, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობენ, ასკერებს სრულიად გაუნადგურებიათ თავიანთი ხალხისავე ქონება... მოხუცი თუ ბავშვები დაიარებიან ყოველ დღე და ლუკმა პურს თხოულობენ... რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა გამომეკითხა მათი გაჭირვება. მაგრამ ეხლა არც დრო მაქვს და არც სურვილი ყველა იმის თქმისა. მხოლოდ გული არ მითმენს ერთი გარემოება მაინც არ აღვნიშნო. ს. ხ—ს., ჩემთან მოვიდა ერთი მოხუცი მოლა და შემეკითხა:

— ბატონო, განა ნება არა მაქვს მეჩეთში ვილოცო?

— „ვინ გიშლის ლოცვას. ჩვენც ელოცულობთ და რუსები ძალიან მორწმუნე ხალხია და არავის უშლის ადიდოს ღმერთი.

მოლა ერთ ხანს გაჩუმდა და რამდენჯერმე დაღვრემით შემომხედა. მის თვალებშიც ამოვიკითხე უნდობლობა ჩემდამი და შევფიცე:

— ვფიცავ რჯულს, ენას, რომ არავინ დაგიშლის ღმერთის დიდებას.

—გმადლობთ, გმადლობთ ეფენდი,— მრწამს და ვხედავ, რომ ჩვენ თქვენში უფრო უკეთესად ვიცხოვრებთ... როცა ჩვენი ადგილი რუსის ჯარმა დაიჭირა, უთქვამთ ნუ ილოცებთო, მხოლოდ სხვა ტომის კაცი მოვიდა და გვითხრა: ნება არა გაქვთ ლოცვისაო, ეს იმ დროს, როცა შუა ლოცვაში ვიყავით, თორემ ჩამოგახრჩობთო. აგერ სამი თვეა აღარ გვილოცნია.

— ეგ არაფერი, თუ კიდევ მაგისთანა მოვიდეს ვინმე და დაგიშალოს, მოდი და მთავრობასთან იჩივლე. აქ კომანდირთან და ის მოგცემს სამართალს.

საბრალო მოლა, ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორ შეიძლება ასე ტკბილად რუსეთის ქვეშევრდომი ესაუბრებოდეს. ვერ მიმხვდარიყო, რომ ჩვენ გმირ მხედრობას მშვიდობიან მცხოვრებთან კეთილი განწყობილების მეტი არა აქვს რა, რომ იგი ებრძვის მხოლოდ ოსმალეთის ჯარს. მოლამ ხელი გამომიწოდა, მეც მივუწოდე. ის იყო ხელზე დააპირა კოცნა, რომ მოვასწარი გამოტაცება.

მოლამ თვალები ზეცას მიაპყრო გულიდან ამოიკვნესა და ოსმალურად ხმა მაღლა დაიძახა: „ინშალა ლაი ლალა“ (არაა ღმერთი, ერთი ღმერთის მეტი) და გაუდგა გზას.

დაპყრობილ ადგილებში დარჩენილ, ოსმალებს თუ ეხლავე დახმარება არ აღმოეჩინათ, ზამთარში სიმშილისაგან სრული განადგურება და ათასგვარი გადამდები სენი მოელით. ეს დახმარება კი უნდა იკისროს ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ. არა ერთხელ მიმითითებია მაჰმადიანთა ინტელიგენციისთვის ჯერ კიდევ არტაანში, რომ საჭიროა ენერგიული მუშაობა, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს. თითქმის ერთი წელიწადია ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოება ეხმარება ყარსის ოლქში მცხოვრებ მაჰმადიანთ, რამაც დიდი სარგებლობა მოუტანა, მაგრამ დროა ახლად დაპყრობილ ადგილებსაც მიაქციონ ყურადღება.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო ჩვენი ჯარის გულკეთილობა, რომელიც თავის ხვედრ ლუკმას უზიარებს უმწეოთ დარჩენილ ოსმალთ და დიდ სიბრალულს იჩენს. ასე გასინჯეთ ტანსაცმელსაც კი არ იშურებს ჯარისკაცი ამ დაბეჩავებულ ხალხისთვის. აგრეთვე გულკეთილად ეპყრობიან განურჩევლად ეროვნებისა (ცოტას გარდა) აფიცრობაც...

**ვ. ხ—შვილი.**

ოსმალეთის ასპარეზი.

## თეატრი და ხელოვნება

თიბათვის სამსა და ოთხს სახალხო სახლში „უგვირგვინო მეფეთა“ მთავარ როლების ამსრულებლებად, როგორც საბოლოოდ გამოირკვა, იქნებიან ჩვენი დამსახურებული მსახიობნი: ელო ანდრონიკაშვილი, ვიქტორ გამყრელიძე, ვალერიან გუნია, იუზა ზარდალიშვილი, ა. ყალაბეგიშვილი და სხვანი. პიესის დასადგმელად გადადებულია 1000 მანეთი. პიესაში მონაწილეობას იღებს ტფილისის და ქუთაისის დასი.

—

**ახალ კლუბში. მომღერალი ვ. ი. შარაშიძე.** თბილისში იმყოფება ამ ჟამად ახალგაზდა მომღერალი ვ. შარაშიძე, რომელმაც წლეულს კურსი დაამთავრა მოსკოვის ფილარმონიულ საზოგადოების სასწავლებელში, ცნობილ პროფესორის ლ. დ. დონსკოის ხელმძღვანელობით. ბ-ნი შარაშიძე (ბარიტონი) უკვე მიიწვია პ. ი. ამირაგომ თავის დასში (ბაქოში) ა. შარაშიძე, მახლობელთა რჩევით თიბათვის პირველ რიცხვებში კონცერტის გამართვას აპირებს „ახალ კლუბში“.

—

**ხარფუხის კლუბში.** კვირას 29 მაისს. ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება კონცერტი რუსულად.

მონაწილეობას მიიღებენ ქ. კუზნეცოვისა და სხვები. სახაზინო თეატრის კონცერტების არტისტებისთვის კლუბში შესვლა უფასოა.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

ღვინის საწყობი
# ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
# კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი **სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათოლიკურად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ღ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
## სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

# ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
—126—

## თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
## განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.